

„დამტკიცებულია”

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემიის რექტორის

2019 წლის 22 მარტის №741229 ბრძანებით

ივანე პაპიაშვილი



**პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამა**

თბილისი, 2019

პროგრამის სახელწოდება	პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამის ხანგრძლივობა	385
პროგრამის აღწერილობა	<p>სასწავლო პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებმაც უნდა განახორციელონ პატრულ-ინსპექტორის, მესაზღვრე-კონტროლიორის, უბნის ინსპექტორისა და მართლწესრიგის ოფიცრის უფლება-მოვალეობები. სასწავლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობაა 385 აკადემიური საათი (61 საათი ეთმობა შეფასებას).</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს სამ მოდულს და 15 საგანს. პროგრამაში მოცემული მეთოდოლოგია და აპრობირებული პრაქტიკა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მსმენელთა პროფესიონალურ და ზოგად უნარ-ჩვევას, ხელს შეუწყობს მათ ეფექტიანად და რაციონალურად განახორციელონ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.</p> <p>მსმენელები შეფასდებიან თითოეული მოდულისა და საგნის მიხედვით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სერტიფიკატი.</p> <p>საცეცხლე მომზადების, ტექნიკური მომზადებისა და ხელჩართული ბრძოლის ილეთების სწავლება ხორციელდება პროფესიული მომზადების სამმართველოს მიერ წინასწარ განსაზღვრული სასწავლო დღის გეგმების მიხედვით.</p> <p>პროგრამა ასევე ითვალისწინებს მსმენელთა ფიზიკური მზადყოფნისა და მდგომარეობის შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასება განხორციელდება სწავლების პროცესის საწყის, შუალედურ და დასკვნით ეტაპებზე. ფიზმომზადება, როგორც სასწავლო კურსი/დისციპლინა საათობრივი დატვირთვის სახით პროგრამაში გათვალისწინებული არ არის. მსმენელი ვალდებულია საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობასა და მაზყოფნაზე იზრუნოს სისტემატიურად და ჩააბაროს პროგრამით დადგენილი ფიზიკური ნორმატივები. აღნიშნულისათვის მსმენელს ეძლევა შესაძლებლობა და დრო გამოიყენოს აკადემიის სპორტული ინფრასტრუქტურა და ფიზიკური აქტივობებისათვის განკუთვნილი შესაბამის სივრცეები.</p>
პროგრამის მიზანი	სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის ეფექტიანი განხორციელება.

№	საგნის სახელწოდება	ხანგრძლივობა საათი	შეფასება საათი
1.	შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანები და საქმიანობის სფეროები	4	შეფასების გარეშე
I მოდული		30	1 სთ
2.	ადამიანის უფლებები და პოლიცია	24	ჩათვლა დანართი N1 შესაბამისად
3.	დისციპლინის, ეთიკისა და კორუფციის საკითხები საპოლიციო საქმიანობაში	6	
II მოდული		60	1 სთ
4.	კრიმინოლოგია	12	ჩათვლა დანართი N2 შესაბამისად
5.	პოლიციის პრევენციული ღონისძიებები	36	
6.	ინფორმაციის წყაროები და მათთან მუშაობა	12	
III მოდული		30	8 სთ
7.	მოქალაქეებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტი	4	ჩათვლა დანართი N3 შესაბამისად
8.	არავერბალური კომუნიკაცია	2	
9.	სიცრუის იდენტიფიკაცია	2	
10.	ბრაზისა და აგრესიული ქცევის მართვა	2	

11.	კონფლიქტური სიტუაციების მართვა	6	
12.	საზოგადოების მოწვევლად ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებები	14	
საგნების ჩამონათვალი		206	45 სთ
13.	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და ზოგიერთ დანაშაულთა კრიმინოლოგიური ასპექტები	22	ჩათვლა (70 წთ.) დანართი N4 შესაბამისად
14.	სისხლის სამართლის პროცესი და ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების წესი	12	ჩათვლა (80 წთ.) დანართი N5 შესაბამისად
15.	ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმისწარმოება	22	ჩათვლა (90 წთ.) დანართი N6 შესაბამისად
16.	ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა	14	ჩათვლა (100 წთ.) დანართი N7 შესაბამისად
17.	ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების გამოვლენა და რეაგირება	10	ჩათვლა (100 წთ.) დანართი N8 შესაბამისად
18.	ქუჩაში მყოფი არასრულწლოვნების გამოვლენა და პირველადი ღონისძიებები	8	ჩათვლა (110წთ.) დანართი N9 შესაბამისად
19.	კომუნიკაციის თავისებურებები შშმ პირებთან	6	ჩათვლა (8 სთ.) დანართი N10 შესაბამისად

20.	ფუნქციური წერა	12	შეფასების გარეშე
21.	პატრულირებისა და საგზაო მოძრაობის წესები	16	ჩათვლა (3 სთ.) დანართი N11 შესაბამისად
22.	შემთხვევის ადგილზე მოქმედების წესი	10	ჩათვლა (2 სთ.) დანართი N12 შესაბამისად
23.	პირველადი სამედიცინო დახმარება	10	ჩათვლა (3 სთ.) დანართი N13 შესაბამისად
24.	საცეცხლე მომზადება	32	ჩათვლა (4 სთ.) დანართი N14 შესაბამისად
25.	ტექტიკური მომზადება	20	ჩათვლა (6 სთ.) დანართი N15 შესაბამისად
26.	ხელჩართული ბრძოლის ილეთები	12	ჩათვლა (4 სთ.) დანართი N16 შესაბამისად
27.	ფიზიკური მომზადება		ჩათვლა (6 სთ.) დანართი N17 შესაბამისად

1	შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანები და საქმიანობის სფეროები (4 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
1/1-1/2	<ul style="list-style-type: none"> ➤ შს სამინისტროს სტრუქტურა და საპოლიციო ამოცანები, პოლიციის როლი და ფუნქცია; ➤ საპატრულო პოლიცია და მისი ამოცანები; ➤ კრიმინალური პოლიცია და მისი ამოცანები; ➤ მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს შსს-ს სტრუქტურაზე, მის საქმიანობასა და ამოცანებზე; ➤ აღწერს შსს-ს მინისტრისა და მოადგილეების კომპეტენციას; ➤ გამიჯნავს სამინისტროს სისტემასში შემავალ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებს. ➤ იმსჯელებს შსს-ს ცალკეული დანაყოფების ფუნქციებსა და კომპეტენციებზე; ➤ ისაუბრებს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ამოცანებზე.
I მოდული		
2	ადამიანის უფლებები და პოლიცია (24 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები

2/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადამიანის უფლებების ზოგადი მიმოხილვა, სიცოცხლის უფლება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს პოლიციის როლზე ადამიანის უფლებებთან მიმართებით; ➤ განასხვავებს ერთმანეთისგან ადამიანის უფლების დარღვევასა და შეზღუდვას; ➤ განსაზღვრავს სიცოცხლის უფლების არსს, შემთხვევებს რა დროსაც შეიძლება შეიზღუდოს სიცოცხლის უფლება, როდის და რა პრინციპების გათვალისწინებით უნდა იქნეს ძალა გამოყენებული; ➤ იმსჯელებს ძალის გამოყენების პროპორციულობის პრინციპზე; ➤ ისაუბრებს სახელმწიფოს ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებზე.
2/2	<ul style="list-style-type: none"> ➤ წამების აკრძალვა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს წამების აკრძალვას, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად; ➤ განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს წამების აკრძალვასთან მიმართებით; ➤ ისაუბრებს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაზე.
2/3	<ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება; უდანაშაულობის პრეზუმფცია. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად; ➤ აღწერს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებულ გარანტიებს;

		<ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს დაკავების საფუძვლების დაუყოვნებლივი შეტყობინების, უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის, სასამართლო პროცედურებისა და ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე; ➤ იმსჯელებს უდანაშაულობის პრეზუმციასა და ბრალდებულის მინიმალურ უფლებებზე.
2/4	<ul style="list-style-type: none"> ➤ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად; ➤ აღწერს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ კომპონენტებს: პირად ინფორმაციას, იდენტობას, კერძო სივრცეს, ოჯახური ცხოვრების პატივისცემას, საცხოვრებელს, ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას, მიმონერას, სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებას; ➤ განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით.
2/5-2/6	<ul style="list-style-type: none"> ➤ პერსონალური მონაცემები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს პერსონალური მონაცემების არსზე, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე; ➤ აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს და საფუძვლებს;

		<ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის უფლებებსა და მოვალეობებზე; ➤ განმარტავს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს; ➤ ისაუბრებს პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის როლზე; ➤ იმსჯელებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევებში.
2/7-2/9	<ul style="list-style-type: none"> ➤ დისკრიმინაციის დაუშვებლობა. ➤ შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს დისკრიმინაციის აკრძალვის არსზე; ➤ განმარტავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას; ➤ იმსჯელებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე; ➤ იმსჯელებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით; ➤ ისაუბრებს დისკრიმინაციის აკრძალვასა და სხვადასხვა საფუძველზე (სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, ოჯახში ძალადობა და სხვა); ➤ ისაუბრებს სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაზე და სიძულვილის მოტივის გამოკვეთის თავისებურებებზე; ➤ აღწერს სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თავისებურებებს.

		<ul style="list-style-type: none"> ➤ განსაზღვრავს შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსს, განმარტავს მას ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად; ➤ განმარტავს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებასთან მიმართებით; ➤ იმსჯელებს შეკრებისა და მანიფესტაციების დროს ძალის გამოყენების პრინციპებზე;
2/10-2/11	<ul style="list-style-type: none"> ➤ გენდერული თანასწორობა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს გენდერისა და სქესის განსაზღვრაზე; ➤ იმსჯელებს გენდერულ როლებზე, გენდერული იდენტიფიკაციისა და სოციალიზაციის პროცესზე, გენდერსა და კულტურაზე; ➤ ისაუბრებს გენდერული თანასწორობის შესახებ ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებზე; ➤ ისაუბრებს საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე გენდერულ თანასწორობასთან მიმართებით; ➤ იმსჯელებს გენდერული თანასწორობის მექანიზმებზე: შექმნის ისტორიაზე, ყოფილ და ამჟამად მოქმედ მექანიზმებზე; ➤ ისაუბრებს გენდერული თანასწორობის ეროვნულ დოკუმენტებზე; ➤ განსაზღვრავს გენდერისა და გენდერული თანასწორობის არსს;

		<ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებზე განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში, საოჯახო ურთიერთობებში და სხვა.
2/12	<ul style="list-style-type: none"> ➤ პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევაზე რეაგირების ადგილობრივი და უფლების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, როგორც უფლების დაცვის ერთ-ერთ საერთაშორისო მექანიზმის როლსა და მნიშვნელობაზე; ➤ განსაზღვრავს სახალხო დამცველის როლს ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით; ➤ ისაუბრებს შსს-ს გენერალური ინსპექციის როლზე; ➤ განსაზღვრავს პროკურატურის როლს და მნიშვნელობას პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.
3	დისციპლინის, ეთიკისა და კორუფციის საკითხები საპოლიციო საქმიანობაში (6 სთ).	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
3/1-3/2	<p>პროფესიული ეთიკის ნორმები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პოლიციელის ქცევის ზოგადი წესები; ➤ ურთიერთობა საზოგადოებასთან; ➤ ურთიერთობა კოლეგებთან; ➤ ეთიკის ქცევების დარღვევის შემთხვევაში პოლიციელის პასუხისმგებლობა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს პოლიციელის ქცევის ზოგად წესებზე; ➤ აღწერს საზოგადოებასთან და კოლეგებთან ურთიერთობის ეტიკეტს; ➤ ჩამოაყალიბებს ეთიკის ქცევების დარღვევის შემთხვევაში პოლიციელის პასუხისმგებლობის პროცედურებს.

	შსს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება.	<ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებზე და აღწერს დისციპლინური გადაცდომის სახეებს; ➤ იმსჯელებს დისციპლინური სახდელების შეფარდების, გამოყენებისა და მოხსნის წესებზე, დისციპლინური სამართალწარმოების ვადებზე; ➤ ისაუბრებს თანამშრომელთა წახალისების წესზე.
3/3	<p>არაეთიკური ქცევისა და კორუფციული ქმედებების შედარებითი მიმოხილვა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და მისი ფარგლების გადაცილება; ➤ მოქრთამვა და ქრთამის აღება; ➤ სხვა სისხლის სამართლის კოდექსით კვალიფიცირებული სამოხელეო და კორუფციული ხასიათის დანაშაულები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს სამოხელეო დანაშაულების შესახებ; ➤ განსაზღვრავს თუ რა სხვაობა არსებობს სხვადასხვა სამოხელეო დანაშაულებს შორის.
II მოდული		
4	კრიმინოლოგია (12 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
4/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ კრიმინოლოგიის საგანი და მისი მნიშვნელობა საპოლიციო საქმიანობაში. 	ცოდნა/გაცნობიერება:

		<ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს კრიმინოლოგიაზე, როგორც მეცნიერებაზე და მის ურთიერთობაზე სხვა მეცნიერებებთან (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია და კრიმინალისტიკა); ➤ იმსჯელებს კრიმინალურ პოლიტიკაზე, შედარებით კრიმინოლოგიასა და კრიმინოლოგიის კვლევის მეთოდებზე.
4/2-4/4	➤ დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიები.	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიებზე, როგორცაა მაგ.: ფსიქონალიზის თეორია, ანომის თეორია, ჩამტვრეული ფანჯრის თეორია და ა.შ.
4/5	➤ დანაშაულის ჩამდენი პირის ზოგადი ტიპოლოგია.	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს დანაშაულის ჩამდენი პირის ზოგად ტიპოლოგიაზე, ხასიათისა და ქცევის თავისებურებებზე.
4/6	➤ ვიქტიმოლოგია და მისი თეორიები.	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ვიქტიმირების ეტაპებზე; ➤ აღწერს ვიქტიმოლოგიის თეორიებს.
5	პოლიციის პრევენციული ღონისძიებები (36 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
5/1	<p>პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის ზოგადი დებულებანი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოს პოლიცია; 	ცოდნა/გაცნობიერების უნარი:

	<ul style="list-style-type: none"> ➤ პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები; ➤ პოლიციის სამსახურები სამინისტროს სისტემაში; ➤ პოლიციელი. <p>კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საზოგადოებრივი უსაფრთხოება; ➤ მართლწესრიგი; ➤ საფრთხე; ➤ საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს საქართველოს პოლიციაზე, პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებზე, სამინისტროს სისტემაში არსებულ პოლიციის სამსახურებზე; ➤ ჩამოაყალიბებს კანონში გამოყენებულ ტერმინებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, მართლწესრიგზე და საფრთხეზე.
5/2	<p>პოლიციის პრევენციული ღონისძიებები-ზოგადი მიმოხილვა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პრევენციული ღონისძიების განმახორციელებელი უფლებამოსილი პოლიციელი; ➤ პოლიციელის თვითიდენტიფიცირების ვალდებულება და გამონაკლისი შემთხვევა. <p>პირის გამოკითხვა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ ღონისძიების ხანგრძლივობა; ➤ ღონისძიების (პირის გამოკითხვა) საფუძვლები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს პრევენციული ღონისძიების განმახორციელებელი პოლიციელის უფლებამოსილებაზე, პოლიციელის თვითიდენტიფიცირების ვალდებულებასა და გამონაკლის შემთხვევებზე; ➤ აღწერს პირის გამოკითხვის წესს.
5/3	<p>პირის გამოკითხვა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების (პირის გამოკითხვა) საფუძვლები. <p>პირის გამოკითხვა - საჭირო ინფორმაციის მიღება:</p>	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს პირის გამოკითხვის საფუძვლებზე, საჭირო ინფორმაციის მიღების აუცილებლობაზე, ნებაყოფლობითობაზე;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ ნებაყოფლობითობა; ➤ 14 წლამდე ასაკის პირის მიმართ ღონისძიების ჩატარების თავისებურება; ➤ გამოკითხვის ჩატარების დროს საფუძვლის გაცნობა და გამონაკლისი შემთხვევა. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს 14 წლამდე ასაკის პირის მიმართ ღონისძიების ჩატარების თავისებურებას; ➤ იმსჯელებს გამოკითხვის ჩატარების დროს საფუძვლის გაცნობასა და გამონაკლის შემთხვევაზე.
5/4	<p>პირის იდენტიფიკაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების საფუძვლები; ➤ პირის იდენტიფიკაციის ღონისძიებები; ➤ პოლიციელის ვალდებულება. <p>პირის იდენტიფიკაციის ოქმი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2013 წლის 31 დეკემბერის ბრძანება №1008. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>ისაუბრებს ღონისძიების საფუძვლებზე, პირის იდენტიფიკაციის ღონისძიებებზე, პოლიციელის ვალდებულებაზე.</p>
5/5	<p>პირის იდენტიფიკაციის ოქმი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ოქმის რეკვიზიტები და შევსების წესი. <p>პირის მონვევა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ ღონისძიების ჩატარების წესი; ➤ ღონისძიების ხანგრძლივობა; ➤ ღონისძიების საფუძვლები; ➤ სხვა პირის იდენტიფიკაციის ღონისძიება; 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>შეადგენს პირის იდენტიფიკაციის ოქმს.</p>

	<ul style="list-style-type: none"> ➤ პოლიციელის ვალდებულება პირის სამსახურებრივი მოვალეობების თავისებურებებისა და პირადი ცხოვრების ინტერესების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. 	
5/6	<p>მონვეულ პირთან გასაუბრების ოქმი;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2013 წლის 31 დეკემბერის ბრძანება №1008; <p>ოქმის რეკვიზიტები და შევსების წესი.</p>	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>შეადგენს მონვეულ პირთან გასაუბრების ოქმს.</p>
5/7	<p>პირის ზედაპირული შემოწმება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ლონისძიების ჩატარების წესი; ➤ ლონისძიების საფუძვლები; 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>ისაუბრებს ლონისძიების ჩატარების წესსზე და საფუძვლებზე.</p>
5/8	<p>პირის ზედაპირული შემოწმების ოქმი;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2013 წლის 31 დეკემბერის ბრძანება №1008; ➤ ოქმის რეკვიზიტები და შევსების წესი. 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>შეადგენს პირის ზედაპირული შემოწმების ოქმს.</p>
5/9	<p>ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ლონისძიების ჩატარების წესი; ➤ ლონისძიების საფუძვლები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>ისაუბრებს ლონისძიების ჩატარების წესსზე და საფუძვლებზე.</p>
5/10	<p>ნივთის/სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერების ოქმი:</p>	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <p>შეადგენს ნივთის/სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერების ოქმს.</p>

	<ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2013 წლის 31 დეკემბერის ბრძანება №1008; ➤ ოქმის რეკვიზიტები და შევსების წესი. 	
5/11	<p>სპეციალური შემოწმება და დათვალიერება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების ჩატარების წესი; ➤ ღონისძიების საფუძვლები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს ღონისძიების ჩატარების წესს; ➤ ისაუბრებს ღონისძიების საფუძვლებზე.
5/12	<p>სპეციალური საპოლიციო კონტროლი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ სპეციალური საპოლიციო კონტროლის დროს გათვალისწინებული საპოლიციო ღონისძიებები; ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 21 დეკემბრის N 604 ბრძანების მიმოხლვა; <p>ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ ღონისძიების საფუძვლები; ➤ ღონისძიების ხანგრძლივობა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს სპეციალური საპოლიციო კონტროლის დროს გათვალისწინებულ საპოლიციო ღონისძიებებზე; ➤ იმსჯელებს ადგილის დატოვების მოთხოვნასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვაზე.
5/13	<p>სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების შემღებვა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ ღონისძიების ჩატარების წესი; ➤ ღონისძიების ხანგრძლივობა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>ისაუბრებს სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისა და ნივთის ფაქტობრივი ფლობის შემღებვაზე.</p>

	<p>ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ღონისძიების არსი; ➤ ღონისძიების ჩატარების წესი; ➤ გადატანა-გადაზიდვის ან სხვაგვარი შეზღუდვა; ➤ ღონისძიების ხანგრძლივობა; ➤ ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვის ოქმი; ➤ ნივთის დაბრუნების ოქმი; ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება N 113; ➤ ოქმის რეკვიზიტები და შევსების წესი. 	
5/14	<p>ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზანი; ➤ ფორმის ტანსაცმელი; ➤ ავტოსატრანსპორტო საშუალება; ➤ გზა; ➤ შენობების გარე პერიმეტრი; ➤ დამონტაჟება/განთავსება (სხვის მფლობელობაში არსებული ობიექტის გამოყენება); ➤ ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკა; ➤ ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის შესახებ ინფორმაციის მითითება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>ისაუბრებს ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენებაზე და უკონტაქტო პატრულირებაზე.</p>

	<p>უკონტაქტო პატრულირება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განსაზღვრული შეზღუდული რაოდენობის საგზაო მონაკვეთი; ➤ ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული ავტომატური ფოტო-და ვიდეოტექნიკა; ➤ ფოტო- და ვიდეოტექნიკა და არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყო; ➤ საინფორმაციო დაფა; ➤ ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული მონწყობილობების მიერ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება-სამართალწარმოების განხორციელების მიზნით დაარქივება/განადგურება. 	
5/15	<p>საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის ბრძანება №328:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უკონტაქტო პატრულირებების განმახორციელებელი პირი; ➤ უკონტაქტო პატრულირების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირისთვის პატრულირების დროს დადგენილი აკრძალვები. <p>ტექნიკური საშუალებების შექმნა და გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექნიკურ საშუალებების შექმნა; ➤ ტექნიკურ საშუალებების გამოყენება; 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს უკონტაქტო პატრულირების განმახორციელებელ პირზე, პატრულირების დროს დადგენილ აკრძალვებზე, ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე, პოლიციის მიერ გამოყენებული ტექნიკური საშუალებების და მათი გამოყენების მეთოდების შეზღუდვაზე; ➤ იმსჯელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, იძულების ღონისძიებებისას პოლიციელის ვალდებულებასა და აკრძალულ საშუალებებზე.

	<p>➤ პოლიციის მიერ გამოყენებული ტექნიკური საშუალებების და მათი გამოყენების მეთოდების შეზღუდვა.</p> <p>ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებების განხორციელება:</p> <p>➤ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა;</p> <p>იძულების ღონისძიებები-ცნება:</p> <p>➤ პოლიციელის ვალდებულება;</p> <p>➤ აკრძალული საშუალებები.</p>	
5/16	<p>ფიზიკური ძალის გამოყენება:</p> <p>➤ ღონისძიების გამოყენების საფუძვლები;</p> <p>➤ პოლიციელის ვალდებულება.</p> <p>სპეციალური საშუალებების გამოყენება:</p> <p>➤ პასიური სპეციალური საშუალება-ცნება/სახეები;</p> <p>➤ აქტიური სპეციალური საშუალება-ცნება/სახეები;</p> <p>➤ პოლიციელის ვალდებულება.</p>	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>ისაუბრებს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე.</p>
5/17	<p>ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება:</p> <p>➤ ცეცხლსასროლი იარაღის პასიური გამოყენება;</p> <p>➤ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენება;</p> <p>➤ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი;</p> <p>➤ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძვლები (გაფრთხილების ვალდებულებით);</p>	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>➤ იმსჯელებს ცეცხლსასროლი იარაღის პასიური და აქტიური გამოყენების უფლებებზე;</p> <p>➤ აღწერს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საფუძვლებს გაფრთხილების და გაფრთხილების გარეშე.</p>

	<ul style="list-style-type: none"> ➤ გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება: არსი და საფუძვლები. 	
5/18	<p>ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა იძულების ღონისძიების გამოყენების შეზღუდვის მნიშვნელობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პირის სასიკვდილოდ დაჭრის საფრთხე; ➤ მომეტებული საშიშროების შემცველ ადგილებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აკრძალვა; ➤ იძულების ღონისძიებების გამოყენების შეზღუდვა; ➤ არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალის, სპეციალური საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საკითხები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერების უნარი:</p> <p>იმსჯელებს ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა იძულების ღონისძიების გამოყენების შეზღუდვის მნიშვნელობაზე, კერძოდ, პირის სასიკვდილოდ დაჭრის საფრთხეზე, მომეტებული საშიშროების შემცველ ადგილებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აკრძალვაზე, იძულების ღონისძიებების გამოყენების შეზღუდვასა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალის, სპეციალური საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საკითხებზე.</p>
6	ინფორმაციის წყაროები და მათთან მუშაობა (12 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
6/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ ინფორმაციის მოპოვების ღია წყაროები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს სამსახურებრივად საჭირო ინფორმაციის არსზე, ინფორმაციის აღქმის პრობლემებსა და იმ მოტივატორებზე, რომლებიც განაპირობებენ მოქალაქეების მხრიდან სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას; ➤ აღწერს ინფორმაციის მოპოვების ღია და დახურულ წყაროებს.
6/2	<ul style="list-style-type: none"> ➤ ინფორმაციის მოპოვების დახურული წყაროები. 	
6/3	<ul style="list-style-type: none"> ➤ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზები, ინფორმაციის ბანკები და მათი მუშაობის პრინციპები. 	
6/4	<ul style="list-style-type: none"> ➤ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზებთან მუშაობის პრინციპები. 	

6/5	➤ ინფორმაციის გადამონწევის და შეფასების მეთოდი.	➤ ისაუბრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზებზე, ინფორმაციის ბანკებსა და მათი მუშაობის პრინციპებზე, ინფორმაციის გადამონწევისა და შეფასების მეთოდებზე; ➤ იმსჯელებს ინფორმაციაზე რეაგირების პრინციპებზე. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ➤ მოახდენს სამსახურებრივად საჭირო ინფორმაციის იდენტიფიცირებას; ➤ შეაფასებს ინფორმაციას და დაადგენს მის სანდოობას; ➤ გაავრცელებს ინფორმაციას.
6/6	➤ ინფორმაციაზე რეაგირების პრინციპები.	

III მოდული

7 მოქალაქეებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტი (4 სთ.)

№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
7/1- 7/2	<ul style="list-style-type: none"> ➤ კომუნიკაციის მნიშვნელობა, კომპონენტები და საფეხურები; ➤ ეფექტიანი კომუნიკაციის პრინციპები ინფორმაციის მიღებისას; ➤ ეფექტიანი კომუნიკაციის პრინციპები ინფორმაციის გაცემისას; ➤ აქტიური მოსმენა და შეკითხვების ფორმულირება. 	ცოდნა/გაცნობიერება: <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის საქმიანობაში, ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობაზე; ➤ ჩამოთვლის კომუნიკაციის კომპონენტებსა და საფეხურებს; ➤ განმარტავს ინფორმაციის მიღებისა და გაცემის დროს საჭირო კომუნიკაციის პრინციპებს; ➤ იმსჯელებს აქტიური მოსმენის ტექნიკის გამოყენების უპირატესობების შესახებ; ➤ ჩამოთვლის შეკითხვის ფორმებსა და ფუნქციებს.

		<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ურთიერთობის დამყარების სტანდარტის გათვალისწინებით, ეფექტიანი ურთიერთობის წარმართვას მოქალაქესთან; ➤ შეძლებს საჭირო ინფორმაციის მიღებასა და გაცემას მოქალაქესთან ურთიერთობის პროცესში, ეფექტიანი კომუნიკაციის პრინციპების გამოყენებით; ➤ შეძლებს აქტიურ მოსმენასა და შეკითხვების სწორად ფორმულირებას.
8	არავერბალური კომუნიკაცია (2 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
8/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა და კომპონენტები; ➤ ემოციების ექსპრესია და იდენტიფიკაცია; ➤ პოზა, ჟესტები, ვიზუალური კონტაქტი და პიროვნებათაშორის სივრცე; ➤ არავერბალური მანიშნებლების ინტერპრეტაცია, მართვა და გამოყენება კომუნიკაციის პროცესში. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების პროცესში; ➤ განმარტავს არავერბალური კომუნიკაციის კომპონენტებს; ➤ იმსჯელებს არავერბალური კომუნიკაციის კომპონენტებზე, თვითმენეჯმენტისა და გამოყენების გზების შესახებ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს არავერბალური კომუნიკაციის კომპონენტების იდენტიფიცირებას და მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაციას; ➤ შეძლებს არავერბალური მახასიათებლების თვითმენეჯმენტსა და გამოყენებას ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

9	სიცრუის იდენტიფიკაცია (2 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
9/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ სიცრუის ვერბალური და არავერბალური ნიშნები; ➤ სიცრუის ინდიკატორების შეფასების პრინციპები; ➤ არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან არიდებისთვის საჭირო რეკომენდაციები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოთვლის სიცრუის ვერბალურ და არავერბალურ ნიშნებს; ➤ იმსჯელებს სიცრუის ინდიკატორების გამოყენების პირობებზე და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან არიდების მნიშვნელობაზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს სიცრუის არავერბალური და ვერბალური ინდიკატორების იდენტიფიცირებას და შეფასებას, მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაციისთვის საჭირო რეკომენდაციებზე დაყრდნობით.
10	ბრაზისა და აგრესიული ქცევის მართვა (2 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
10/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ ბრაზის თვითრეგულაციის პრინციპები; ➤ ბრაზის კონსტრუქციული გზით გამოხატვის ფორმები; ➤ აგრესიული ქცევის მქონე მოქალაქესთან კომუნიკაციის რეკომენდაციები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს ბრაზის თვითრეგულაციის მნიშვნელობაზე, აგრესიული ქცევის მქონე პირებთან ურთიერთობაში; ➤ განმარტავს ბრაზის კონსტრუქციული გამოხატვის ფორმებს; ➤ ჩამოთვლის და იმსჯელებს აგრესიული ქცევის მქონე მოქალაქეთა ქცევის მართვის რეკომენდაციების შესახებ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p>

		<ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ბრაზის კონსტრუქციული გზით გამოხატვას და აგრესიული ქცევის მართვისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გათვალისწინებას.
11	კონფლიქტური სიტუაციების მართვა (6 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
11/1-11/3	<ul style="list-style-type: none"> ➤ კონფლიქტის განმარტება, ფორმები, გამომწვევი მიზეზები და განვითარების სტადიები; ➤ მოლაპარაკება; ➤ მედიაცია; ➤ არბიტრაცია. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განმარტავს კონფლიქტს, მის ფორმებსა და განვითარების სტადიებს; ➤ იმსჯელებს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შესახებ; ➤ იმსჯელებს კონფლიქტის განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, ესკალაციის თავიდან არიდების გზებსა და საჭიროებაზე; ➤ განმარტავს მოლაპარაკების არსს და ძირითად პრინციპებს; ➤ განმარტავს მედიაციის პროცესს და მის საფეხურებს; ➤ იმსჯელებს მედიატორის როლზე, პიროვნული უნარების მნიშვნელობასა და ძირითად ფუნქციებზე კონფლიქტის მართვის პროცესში; ➤ განმარტავს არბიტრაციის, როგორც კონფლიქტის მართვის სტრატეგიის, მნიშვნელობას და მის ძირითად ასპექტებს; ➤ იმსჯელებს მედიაციის და არბიტრაციის განსხვავების შესახებ; ➤ იმსჯელებს მოლაპარაკების, მედიაციისა და არბიტრაციის გამოყენებისთვის რელევანტური სიტუაციების შესახებ.

		<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს კონფლიქტის მართვის რელევანტური სტრატეგიის შერჩევას, სიტუაციის შესაბამისად; ➤ შეძლებს მოლაპარაკების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებას, კონფლიქტური სიტუაციის მართვის პროცესში; ➤ შეძლებს მედიაციის პროცესის ძირითადი საფეხურების დაცვით, კონფლიქტური სიტუაციის რეგულირებას; ➤ შეძლებს არბიტრაციის გამოყენებისთვის აუცილებელი სიტუაციის იდენტიფიცირებას და არბიტრის ძირითადი ფუნქციის შესრულებას.
12	საზოგადოების მონყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებები (14 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
12/1	<p>ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფსიქიკური აშლილობის ტიპები; ➤ სხვადასხვა ფორმის ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან ურთიერთობის დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოთვლის და განმარტავს ფსიქიკური აშლილობის ძირითად ფორმებს; ➤ ჩამოთვლის ფსიქიკური აშლილობის მთავარ ინდიკატორებს; ➤ იმსჯელებს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებთან განსხვავებული მიდგომის საჭიროებაზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა იდენტიფიკაციას და კომუნიკაციის რელევანტური სტრატეგიის არჩევას.

<p>12/2</p>	<p>ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება, ტოლერანტობის ფორმირება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება; ➤ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქცევითი და ემოციური ინდიკატორები; ➤ ვერბალური დეესკალაცია; ➤ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციის რეკომენდაციები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებასა და ნივთიერებებზე დამოკიდებულებას შორის არსებული ძირითადი განსხვავების შესახებ; ➤ ჩამოთვლის და განმარტავს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ქცევით და ემოციურ მანიშნებლებს; ➤ იმსჯელებს ვერბალური დეესკალაციის მეთოდისა და მისი გამოყენების საჭროებაზე ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ურთიერთობისას; ➤ განმარტავს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კომუნიკაციის რეკომენდაციებს. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ურთიერთობისთვის საჭირო პრინციპების გათვალისწინებას.
<p>12/3</p>	<p>ხანდაზმული მოქალაქეები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხანდაზმულობის ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებები; ➤ ხანდაზმულ მოქალაქეთა განვითარებისთვის დამახასიათებელი ქცევაში გამოხატული სირთულეები; ➤ ხანდაზმულ მოქალაქეებთან კომუნიკაციის დამყარების პრინციპები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განმარტავს ხანდაზმულობის ასაკის განვითარების თავისებურებას; ➤ ჩამოთვლის და განმარტავს ხანდაზმულ პირთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ მახასიათებლებს; ➤ იმსჯელებს ხანდაზმულ მოქალაქეებთან კომუნიკაციის დამყარების თავისებურებების შესახებ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p>

		<ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ხანდაზმულ მოქალაქეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებას, მათი ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.
12/4	<p>ქუჩაში მცხოვრები და მიუსაფარი ბავშვები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები და ძირითადი ინდიკატორები; ➤ ქუჩაში მცხოვრები და მიუსაფარი ბავშვების განვითარების თავისებურებები- ფსიქოლოგიურ და სოციალური მახასიათებლები; ➤ ქუჩაში მცხოვრებ და მიუსაფარ ბავშვებთან კონტაქტის დამყარება და ურთიერთობის თავისებურებები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოთვლის და განმარტავს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებსა და ინდიკატორებს; ➤ იმსჯელებს ქუჩაში მცხოვრები და მიუსაფარი ბავშვების ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების თავისებურებების შესახებ; ➤ იმსჯელებს ქუჩაში მცხოვრებ და მიუსაფარ ბავშვებთან კონტაქტის დამყარების, ნდობის მოპოვებისა და კომუნიკაციის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვან რეკომენდაციებზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ქუჩაში მცხოვრებ და მიუსაფარ ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარების თავისებურებების გათვალისწინებას და მათთან ურთიერთობის ინიცირებას.
12/5	<p>განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნეიროგანვითარების დარღვევები და მასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საჭიროებები; ➤ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სტიგმატიზაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბარიერები; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოთვლის და განმარტავს ნეიროგანვითარების ზოგიერთ დარღვევას და მათ მახასიათებლებს; ➤ იმსჯელებს განვითარების დარღვევით განპირობებულ განსაკუთრებულ საჭიროებებზე;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის დამყარების რეკომენდაციები. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ გაცნობიერებს სტიგმის უარყოფით გავლენასა და კომუნიკაციის ბარიერების ზეგავლენას განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან კომუნიკაციის პროცესში. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებასა და არადისკრიმინაციული კომუნიკაციისთვის საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინებას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის პროცესში.
12/6	<p>სექსუალურ უმცირესობათა თემის წარმომადგენლები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების მიმოხილვა; ➤ დისკრიმინაცია და სტერეოტიპები; ➤ სტერეოტიპების დაძლევის გზები და არადისკრიმინაციული კომუნიკაციის პრინციპები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განმარტავს სექსუალური ორიენტაციის ფორმებსა და გენდერული იდენტობის მნიშვნელობას; ➤ იმსჯელებს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ; ➤ იმსჯელებს დისკრიმინაციის ფსიქოლოგიურ ფაქტორებსა და სექსუალურ უმცირესობათა თემის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესზე მათი ზეგავლენის შესახებ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს სტერეოტიპების გაცნობიერებას და არადისკრიმინაციული კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინებას.
12/7	<p>კულტურული მრავალფეროვნება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მულტიკულტურული საზოგადოების მნიშვნელობა; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განმარტავს კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ საქართველოში მცხოვრები რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლების ცხოვრების სტილის თავისებურებები; ➤ სტერეოტიპები და მრავალფეროვნება. არადისკრიმინაციული კომუნიკაციის პრინციპები. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობათა ჯგუფების წინააღმდეგ არსებული სტერეოტიპებსა და მათი დაძლევის მექანიზმების შესახებ; ➤ ჩამოთვლის და აღწერს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობათა ჯგუფების ცხოვრების წესს, ტრადიციებსა და კულტურულ მახასიათებლებს. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს გააცნობიეროს კულტურული მრავალფეროვნების და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი კომუნიკაციის მნიშვნელობა, მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობაში; ➤ შეძლებს გაითვალისწინოს არადისკრიმინაციული კომუნიკაციის პრინციპები კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში.
საგნების ჩამონათვალი		
13	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და ზოგიერთ დანაშაულთა კრიმინოლოგიური ასპექტები (22სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
13/1- 13/2	<p>დანაშაულზე რეაგირების დროს გასათვალისწინებელი საკითხები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სისხლის სამართლის ცნება, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები; ➤ დანაშაული და მათი ნიშნები; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოაყალიბებს სისხლის სამართლის ცნებას. ისაუბრებს სისხლის სამართლის პრინციპებსა და ამოცანებზე; ➤ განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანსა და მისი მოქმედების ფარგლებს დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ.

	<ul style="list-style-type: none"> ➤ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი, ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნებასა და მნიშვნელობაზე, გამოიწნავს დანაშაულის ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშანებს და ➤ იმსჯელებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი, ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანზე; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებზე: მათი გამოყენების სპეციფიკაზე.
13/3	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიმოხილვა; ➤ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულების მიმოხილვა. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოაყალიბებს სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს, კონკრეტულ მუხლებსა და მათ შემადგენლობას;
13/4 - 13/8	<ul style="list-style-type: none"> ➤ ქურდობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება; ➤ ძარცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება; ➤ ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება; 	<ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულების ხასიათზე, გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებზე, ჩადენის ხერხებზე, მოტივებსა და ფირმებზე; ➤ აღწერს რა რეაგირების ღონისძიებები შეიძება იქნას გატარებული ცალკეულ დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად.
13/9	<ul style="list-style-type: none"> ➤ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება; 	

13/10	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ ბრუნვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება; 	
13/11	<ul style="list-style-type: none"> ➤ კიბერსაფრთხეები და მათი პრევენცია. 	
14	სისხლის სამართლის პროცესი და ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების წესი (12 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
14/1	<p>სისხლის სამართლის პროცესის ცნება, პრინციპები და ტერმინთა განმარტება.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კოდექსის მიზანი; ➤ სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებულ ძირითად ტერმინთა განმარტება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისთვის (სსსკ 3 მუხლი). 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს სისხლის სამართლის პროცესის ცნებაზე და პრინციპებზე; ➤ იმსჯელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსსა და მნიშვნელობაზე; ➤ აღწერს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ახალ სისტემას; ➤ ისაუბრებს ბრალდებისა და დაცვის მხარეებზე, პიროვნების ღირსების ხელშეუვალობაზე, უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფციაზე, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობაზე, სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, სამართლიან პროცესსა და სწრაფ მართლმსაჯულებაზე, მხარეთა თანასწორობასა და შეჭიბველობაზე; ➤ იმსჯელებს სასამართლო სხდომის საჯაროობასა და ზეპირობის მნიშვნელობაზე, კანონიერებასა და სასამართლოს
14/2	<p>სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მართლმსაჯულების ორგანო, ბრალდების მხარე, პროკურატურა, პროკურორი, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება; ➤ გამომძიებელი, გამოძიების ორგანოები და გამომძიებელი; ➤ საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა. 	

		<p>დამოუკიდებლობაზე, მტკიცებულებზე, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობაზე, დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე ბრალის წაყენებაზე და განმეორებით დაკავებისა და მსჯავრდების აკრძალვაზე.</p>
14/3	<p>სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები - დაცვის მხარე, ადვოკატი, ბრალდებული, მსჯავრდებული, სავალდებულო დაცვა, დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაცვის მხარე; ➤ ბრალდებულის ცნება და ბრალდებულის უფლება-მოვალეობები. <p>სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები - მონწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, დაზარალებული</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მონწმე; ➤ პირი, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მონწმე; ➤ თარჯიმანი. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებზე, სასამართლოზე, ბრალდებისა და დაცვის მხარეებზე; ➤ ჩამოთვლის სასამართლოს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობას და ისაუბრებს მათ უფლებამოსილებაზე; ➤ ისაუბრებს პროკურატურასა და პროკურორზე და მის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, ასევე გამოძიების ორგანოებსა და გამოძიებელზე; ➤ აღწერს საგამოძიებო და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას; ➤ ისაუბრებს ბრალდებულის ცნებასა და მის უფლება-მოვალეობებზე, ასევე ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე. ➤ იმსჯელებს მონწმესა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე; ➤ აღწერს მონწმის უფლება-მოვალეობებს; ➤ ისაუბრებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებზე და აცილებაზე.

<p>14/4- 14/6</p>	<p>გამოძიების დაწყების მოვალეობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. <p>ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების წესი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაკავება; ➤ პირადი ჩხრეკა; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმჯელებს დანაშაულის გამოძიების არსსა და პრინციპებზე. ➤ ჩამოაყალიბებს დაკავებისა და პირადი ჩხრეკისათვის აუცილებელ სამართლებრივ მოთხოვნებს. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განახორციელებს დაკავებასა და პირად ჩხრეკას ➤ შეაფასებს სათანადო ოქმებს.
<p>15</p>	<p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმისწარმოება (22 სთ.)</p>	
<p>№</p>	<p>ლექციის თემა</p>	<p>სწავლების შედეგები</p>
<p>15/1</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეგულირების სფეროს, სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამომტანი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ კონტროლის სახეებს, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედებას დროსა და სივრცეში; ➤ ისაუბრებს კანონის უკუქცევით ძალაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის (გადაცდომის) არსზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე; ➤ გამოჯანავს ადმინისტრაციულ და სისხლისამართლებრივ დელიქტებს.

15/2	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადმინისტრაციული სახდელები. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ადმინისტრაციულ სახდელზე; ➤ გამოჯნავს ერთმანეთისგან ადმინისტრაციული სახდელების სახეებს; ➤ იმსჯელებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე.
15/3	<ul style="list-style-type: none"> ➤ საზოგადოებრივი წესრიგის და მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. ➤ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს საზოგადოებრივი წესრიგის და მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე და ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებაზე.
15/4	<ul style="list-style-type: none"> ➤ სამართალდარღვევები ვაჭრობის და კეთილმოწყობის დარგში. ➤ სამართალდარღვევები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს ვაჭრობის და კეთილმოწყობის დარგში არსებულ სამართალდარღვევებზე. ➤ ისაუბრებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში არსებულ სამართალდარღვევებზე.
15/5	<ul style="list-style-type: none"> ➤ იარაღთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. ➤ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს იარაღთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე; ➤ იმსჯელებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებაზე.

15/6	<ul style="list-style-type: none"> ➤ საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.
15/7	<ul style="list-style-type: none"> ➤ წვრილმან ხულიგნობაზე და პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევების თავისებურებები, პრაქტიკული პრობლემები, შესაბამისი ოქმების შევსება და სასამართლოში წარდგენილ მასალებზე პოზიციის დაცვა - პრაქტიკული სამუშაო. 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წვრილმანი ხულიგნობისას და პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევებში შეადგენს შესაბამის ოქმებს და დაიცავს პოზიციას სასამართლოში წარდგენილ მასალებზე.
15/8	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება. ➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები. ➤ მტკიცებულებანი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებაზე, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებზე, მტკიცებულებებზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე.
15/9	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები. ➤ სამართალდამრღვევის უფლებები და მოვალეობები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იმსჯელებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომებზე. ➤ ისაუბრებს სამართალდამრღვევის უფლებებსა და მოვალეობებზე.

15/10	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულება; ➤ ცალკეულ დადგენილებათა აღსრულების წესი; ➤ გაფრთხილების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება; ➤ დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება; ➤ სპეციალური უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოება; ➤ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წარმოება. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულებაზე, ცალკეულ დადგენილებათა აღსრულების წესზე, გაფრთხილების, დაჯარიმების, სპეციალური უფლების შეჩერებისა და ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წარმოებაზე.
15/11	<ul style="list-style-type: none"> ➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომებზე სათანადო ოქმების შევსება <p>პრაქტიკული სამუშაო</p>	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეავსებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომებზე სათანადო ოქმებს.
16	ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა (14 სთ.)	
№	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
16/1	<ul style="list-style-type: none"> ➤ ოჯახში ძალადობის არსი. ოჯახში ძალადობის თეორიები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p>

მსმენელს უტარდება 2 წერიტი გამოკითხვა, თითოეული გამოკითხვა ფასდება 2 ქულით. I ეტაპის გამოკითხვაში მიღებული ქულათა საერთო ჯამი თუ იქნება 3 ქულა და მეტი, ჩათვლის III ეტაპზე მსმენელის მიერ მიღებულ ქულათა საბოლოო რაოდენობას დაემატება 2 (ორი) ქულა.

წერიითი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმი:

- სწორად და სრულად გაცემული პასუხი 2 ქულა;
- სწორად გაცემული არასრული პასუხი 1 ქულა;
- არასწორი პასუხი 0 ქულა.

აღნიშნული გამოკითხვა ტარდება 16/4 და 16/7 პროგრამის კოდით გათვალისწინებულ სასწავლო აქტივობებზე. თითოეულ გამოკითხვას ეთმობა 30 წთ. (ჯამში: 1 სთ.)

II ეტაპი:

ჩათვლის II ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 30 ტესტური დავალების შესრულებას. ტესტური დავალებები შედგენილია და გამომდინარეობს პროგრამის I, II, III მოდულების, 13-ე, 14-ე და 15-ე საგნების თემატიკიდან. ჩათვლის ეს ფორმატი ემსახურება განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებას. ერთი ტესტური დავალება ფასდება 1 ქულით. მსმენელის მიერ 18 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლის II ეტაპი ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ჩათვლის II ეტაპის ერთხელ გადაბარების უფლება.

30 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 60 წუთი.

III ეტაპი:

ჩათვლის III ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 20 ტესტური დავალების შესრულებას. 20 დავალებიდან 12 და მეტი დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება.

20 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 40 წუთი.

დანართი №8

ჩათვლა შედგება 2 ეტაპისგან.

I ეტაპი:

ჩათვლის I ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 35 ტესტური დავალების შესრულებას. ტესტური დავალებები შედგენილია და გამომდინარეობს პროგრამის I, II, III მოდულების, 13-ე, 14-ე, 15-ე და 16-ე საგნების თემატიკიდან. ჩათვლის ეს ფორმატი ემსახურება განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებას. ერთი ტესტური დავალება ფასდება 1 ქულით. მსმენელის მიერ 21 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლის I ეტაპი ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ჩათვლის I ეტაპის ერთხელ გადაბარების უფლება.

35 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 70 წუთი.

II ეტაპი:

ჩათვლის II ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 15 ტესტური დავალების შესრულებას. 15 დავალებიდან 9 და მეტი დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება.

15 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 30 წუთი.

დანართი №9

ჩათვლა შედგება 2 ეტაპისგან.

I ეტაპი:

ჩათვლის I ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 40 ტესტური დავალების შესრულებას. ტესტური დავალებები შედგენილია და გამომდინარეობს პროგრამის I, II, III მოდულების, 13-ე, 14-ე, 15-ე, 16-ე და 17-ე საგნების თემატიკიდან. ჩათვლის ეს ფორმატი ემსახურება განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებას. ერთი ტესტური დავალება ფასდება 1 ქულით. მსმენელის მიერ 24 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლის I ეტაპი ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ჩათვლის I ეტაპის ერთხელ გადაბარების უფლება.

40 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 80 წუთი.

II ეტაპი:

ჩათვლის II ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 15 ტესტური დავალების შესრულებას. 15 დავალებიდან 9 და მეტი დავალების სწორად შერულების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება.

15 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 30 წუთი.

დანართი №10

ჩათვლა შედგება 3 ეტაპისგან.

I ეტაპი:

ჩათვლის I ეტაპი მოიცავს მსმენელის მიერ 45 ტესტური დავალების შესრულებას. ტესტური დავალებები შედგენილია და გამომდინარეობს პროგრამის I, II, III მოდულების, 13-ე, 14-ე, 15-ე, 16-ე, 17-ე და 18-ე საგნების თემატიკიდან. ჩათვლის ეს ფორმატი ემსახურება განვლილი მასალის ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებას. ერთი ტესტური დავალება ფასდება 1 ქულით. მსმენელის მიერ 27 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლის I ეტაპი ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ჩათვლის I ეტაპის ერთხელ გადაბარების უფლება.

45 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 90 წუთი.

II ეტაპი:

მსმენელი წერს ტექსტს, რომელიც შედგება დახურული კითხვებისაგან. სულ მოცემული იქნება 10 შეკითხვა. თითოეული შეკითხვა შეფასდება 1 ქულით. ჩათვლის ამ ნაწილის წარმატებით გადალახვისთვის საჭიროა მინიმუმ 7 ქულის მიღება. ამ ეტაპზე არასაკმარისი ქულის დაგროვების შემთხვევაში, მსმენელი არ დაიშვება ჩათვლის მესამე ეტაპზე.

10 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 30 წუთი.

III ეტაპი:

გულისხმობს პრაქტიკულ ნაწილს,

მსმენელმა დადებითი შეფასების მისაღებად უნდა შეასრულოს ჩამოთვლილი 8 კრიტერიუმიდან მინიმუმ 5

1. ეტლიდან გადაყვანა და გადმოყვანა როგორც სკამზე ასევე მანქანაში და საწოლზე
2. ეტლით მოსარგებლის კიბეზე აყვანა ჩამოყვანა
3. დაბრკოლებების გადალახვაში დახმარება
4. დაცემული შუშ პირის ეტლში გადაყვანა
5. განასხვავოს ეტლის ტიპები
6. აირჩევა დამხმარე საშუალებები ნებისმიერი შუშ პირისათვის
7. უსინათლს გაცილება და მისთვის დაბრკოლებების გადალახვაში და ხმარების აღმოჩენა
8. უნდა შეეძლოს უსინათლოს დახმარება სკამზე დაჯდომის დროს და სივრცეში ორიენტაციაში დახმარება

მსმენელს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება

პრაქტიკული ნაწილის შეფასებას ეთმობა 6 სთ.

დანართი №11

ჩათვლა მოიცავს მსმენელის მიერ 110 ტესტური დავალების შესრულებას. 110 დავალებიდან 75 და მეტი დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში მსმენელს ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება. მსმენელს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება.

110 ტესტური დავალების შესასრულებლად მსმენელს ეძლევა 180 წუთი.

მსმენელს აქვს ჩათვლის ერთხელ გადაბარების უფლება

დანართი №12

პრაქტიკული დავალება შედგება 9 საკითხიგან. ჩათვლა ჩაბარებულად ჩაითვლება ყველა საკითხის სწორად შესრულების შემთხვევაში. მსმენელს აქვს ჩათვლის გადაბარების უფლება.

ჩათვლას ეთმობა 2 სთ.

დანართი №13

ჩათვლის დროს მოწმდება კონკრეტულ სიტუაციაში რამდენად შეძლებს მსმენელი მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე პირველადი სამედიცინო დახმარების პრაქტიკულად განხორციელებას. ჩათვლა ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მსმენელის მიერ განხორციელებული პრაქტიკული უნარები უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების განწევას.

ჩათვლა არ მიეცემა მსმენელს იმ შემთხვევაში, თუ თეორიული მსჯელობა და პრაქტიკული უნარების დემონსტრირება ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის სიცოცხლის გადარჩენის მინიმალურ შანსებს, ან ახდენს დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას.

მსმენელს აქვს ჩათვლის გადაბარების უფლება

ჩათვლას ეთმობა 3 სთ.

დანართი №14

ჩათვლა ტარდება საცეცხლე ტირში კომპლექსური შემაჯამებელი სროლების (20 ვაზნა) სახით და მოიცავს 7 ძირითად კომპონენტს.

ჩათვლის კომპონენტი №1:

- მანძილი - 3 მეტრი
- პოზიცია - დგომი (უძრავი მდგომარეობიდან)
- გასროლების რაოდენობა - 1 გასროლა
- დრო - 3 წამი
- შენიშვნა: დავალება სრულდება ფიზიკური დატვირთვის შემდეგ - (40 მეტრი სირბილი)

სასროლეთში ჯგუფი იყოფა 5 ნაწილად (4-კაციან ჯგუფებად).

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) სამიზნის მოპირდაპირედ 3 მეტრზე.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება სამიზნის შემობრუნებას.

სამიზნის შემობრუნებისთანავე აკეთებს გასვლას მარჯვენა მხარეს და პარალელურად იღებს იარაღს ბუდიდან, მუხტავს და აკეთებს გასროლას №1 (მარცხენა) სამიზნეზე.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „უსაფრთხოება“, მსროლელი აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემოწმებას (პასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „განმუხტე(თ) იარაღი“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს მოარგებს მჭიდს და ინახავს იარაღს ბუდეში.

მსროლელი იმეორებს დავალებას და იკავებს პოზიციას დგომში №2 (მარჯვენა) სამიზნის მოპირდაპირედ 3 მეტრზე. აკეთებს გასვლას მარცხენა მხარეს და გასროლას მარჯვენა სამიზნეზე.

ჩათვლის კომპონენტი №2:

- მანძილი - 3 მეტრი
- პოზიცია - დგომი (უკან გასვლით / 2 ნაბიჯი)
- გასროლების რაოდენობა - 2 გასროლა (თითო გასროლა თითო სამიზნეზე)
- დრო - 4 წამი
- დავალება სრულდება ფიზიკური დატვირთვის გარეშე

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) და №2 (მარჯვენა) სამიზნეებს შორის 3 მეტრზე.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება სამიზნეების შემოტრიალებას.

სამიზნეების შემოტრიალებისთანავე აკეთებს უკან გასვლას (2 ნაბიჯით) გასვლას და პარალელურად იღებს იარაღს ბუდიდან, მუხტავს და გასცემს ბრძანებას „პოლიციაა, სდექ, თორე გესვრი!“ და აკეთებს 1 გასროლას №1 (მარცხენა) სამიზნეზე და 1 გასროლას №2 (მარჯვენა) სამიზნეზე.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „უსაფრთხოება“, მსროლელი აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემოწმებას (პასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „განმუხტე(თ) იარაღი“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს მოარგებს მჭიდს და ინახავს იარაღს ბუდეში.

ჩათვლის კომპონენტი №3:

- მანძილი - 5 მეტრი
- პოზიცია - დგომი (უძრავი მდგომარეობიდან) / სროლა (ცალი) აქტიური ხელით
- გასროლების რაოდენობა - 4 გასროლა (ორ-ორი გასროლა სამიზნეზე)
- დრო - 5 წამი
- შენიშვნა: დავალება სრულდება ფიზიკური დატვირთვის შემდეგ - (40 მეტრი სირბილი)

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) და №2 (მარჯვენა) სამიზნეებს შორის 5 მეტრზე.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**დამუხტე(თ) იარაღი!**“ მსროლელი იღებს იარაღს ბუდიდან, მუხტავს იარაღს და აქტიური (ერთი) ხელით გააქვს №1 (მარცხენა) სამიზნისაკენ, ხოლო პასიური ხელი აქვს მოთავსებული მკერდთან და ელოდება სამიზნეების შემოტრიალებას.

სამიზნეების შემოტრიალებისთანავე აკეთებს 1 გასროლას №1 (მარცხენა) სამიზნეზე და 1 გასროლას №2 (მარჯვენა) სამიზნეზე.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**უსაფრთხოება**“, მსროლელი აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემოწმებას (პასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**განმუხტე(თ) იარაღი**“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს მოარგებს მჭიდს და ინახავს იარაღს ბუდეში.

ჩათვლის კომპონენტი №4:

- მანძილი - 7 მეტრი
- პოზიცია - სატარის გამოყენებით, აქტიური და პასიური მხრიდან /დგომში (უძრავი მდგომარეობიდან), მუხლი (უძრავი მდგომარეობიდან)
- გასროლების რაოდენობა - 4 გასროლა (თითო გასროლა თითო პოზიციიდან)

- დრო - 50 წამი
- დამატებითი კომპონენტი - იარაღის არასრული დაშლა აწყობა
- შენიშვნა: დავალება სრულდება ფიზიკური დატვირთვის შემდეგ - (40 მეტრი სირბილი)

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) და №2 (მარჯვენა) სამიზნეებს შორის 7 მეტრზე განლაგებულ საფარს უკან.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „დაშალე(თ) იარაღი!“ მსროლელი გადადის მუხლზე, იღებს იარაღს ბუდიდან და შლის იარაღს არასრულად. (იარაღი დაშლილ მდგომარეობაში უნდა განთავსდეს მითითებულ, შემოსაზღვრულ ადგილას). შემდეგ გარბის მითითებულ ნიშნულამდე და ბრუნდება უკან (x2), შემდეგ აწყობს იარაღს და იწყებს გასროლას. №2 (მარჯვენა) სამიზნეზე, 1 გასროლა მუხლიდან, 1 გასროლა დგომიდან, შემდეგ ცვლის მჭიდს (მჭიდის სწრაფი შეცვლა) და №1 (მარცხენა) სამიზნეზე 1 გასროლა დგომიდან, 1 გასროლა მუხლიდან.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „უსაფრთხოება“, მსროლელი წამოდგება და დგომში აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემოწმებას (ჰასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „განმუხტე(თ) იარაღი“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს მოარგებს მჭიდს და ინახავს იარაღს ბუდეში.

ჩათვლის კომპონენტი №5:

- მანძილი - 10 მეტრი
- პოზიცია - დგომი (მარჯვნიდან / მარცხნიდან და ზურგიდან სრული ბრუნით)
- გასროლების რაოდენობა - 1 გასროლა
- დრო - 4 წამი
- შენიშვნა: დავალება სრულდება ფიზიკური დატვირთვის გარეშე

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) სამიზნის მოპირდაპირედ 10 მეტრზე.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „მარცხნისაკენ!“ მსროლელი ტრიალდება მარცხნივ.

მსროლელი დგას თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „მზადყოფნა!“ მსროლელი იღებს მზადყოფნის პოზიციას, (ხელები მკერდთან) და გაიხედება №1 (მარცხენა) სამიზნისაკენ და ელოდება სამიზნის შემოტრიალებას.

სამიზნის შემოტრიალებისთანავე მსროლელი შეტრიალდება სამიზნისაკენ მკერდით, ამოიღებს იარაღს ბუდიდან, დამუხტავს და აკეთებს 1 გასროლას №1 (მარცხენა) სამიზნეზე.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „უსაფრთხოება“, მსროლელი დგომში აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემონმებას (პასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „განმუხტე(თ) იარაღი“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს მოარგებს მჭიდს და ინახავს იარაღს ბუდეში

ჩათვლის კომპონენტი №6:

- მანძილი - 10 მეტრი
- პოზიცია - დგომი (მარჯვნიდან / მარცხნიდან და ზურგიდან სრული ბრუნით)
- გასროლების რაოდენობა - 1 გასროლა
- დრო - 4 წამი
- შენიშვნა: დავალება სრულდება ფიზიკური დატვირთვის გარეშე

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) სამიზნის მოპირდაპირედ 10 მეტრზე.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „ზურგისაკენ!“ მსროლელი ტრიალდება ზურგისაკენ.

მსროლელი დგას თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „მზადყოფნა!“ მსროლელი იღებს მზადყოფნის პოზიციას, ხელები მკერდთან და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „საფრთხე მარცხნიდან!“ ან „საფრთხე მარჯვნიდან!“ მსროლელი ტრიალდება სამიზნისაკენ მითითებული მხრიდან, მკერდით, ამოიღებს იარაღს ბუდიდან, დამუხტავს და აკეთებს 1 გასროლას №1 (მარცხენა) სამიზნეზე.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „უსაფრთხოება“, მსროლელი დგომში აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემოწმებას (პასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „განმუხტე(თ) იარაღი“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს მოარგებს მჭიდს და ინახავს იარაღს ბუდეში

მსმენელი იმეორებს იგივე დავალებას ,იკავებს პოზიციას დგომში №2 (მარჯვენა) სამიზნის მოპირდაპირედ 10 მეტრზე და ტრიალდება მარჯვნივ. ანალოგიურად დავალება ზურგიდან №2 (მარჯვენა) სამიზნეზე.

ჩათვლის კომპონენტი №7:

- მანძილი - 15 მეტრი
- პოზიცია - დგომი (უძრავი მდგომარეობიდან)
- გასროლების რაოდენობა - 4 გასროლა
- ღრო - ღროის გარეშე
- შენიშვნა: დავალება სრულდება თიზიკური დატვირთვის გარეშე

იარაღი განმუხტულ მდგომარეობაში მოთავსებულია ბუდეში.

მსროლელი იკავებს პოზიციას დგომში №1 (მარცხენა) სამიზნის მოპირდაპირედ 15 მეტრზე.

მსროლელი დგას სახით სამიზნისკენ თავისუფალ დგომში, ხელები დაშვებულ მდგომარეობაში და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**მზადყოფნა!**“ მსროლელი იღებს მზადყოფნის პოზიციას, ხელები მკერდთან და ელოდება ინსტრუქტორის შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**დამუხტე(თ) იარაღი!**“ მსროლელი იღებს იარაღს ბუდიდან, მუხტავს იარაღს, გააქვს სამიზნის მიმართულებით და ელოდება ინსტრუქტორის ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**სროლა!**“ მსროლელი აკეთებს 4 გასროლას №1 (მარცხენა) სამიზნეზე.

გასროლის შემდეგ აკეთებს სკანირებას და ინსტრუქტორის ბრძანებამდე ტოვებს იარაღს გატანილს სამიზნის მიმართულებით.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**უსაფრთხოება**“, მსროლელი დგომში აკეთებს 360°-ით უსაფრთხოების შემოწმებას (პასიური და აქტიური მხარეს) და ელოდება შემდეგ ბრძანებას.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე „**განმუხტე(თ) იარაღი**“, მსმენელი განმუხტავს იარაღს. განმუხტულ იარაღს ტოვებს საკეთშემფერხებელზე და მჭიდს გარეშე ინახავს იარაღს ბუდეში.

დავალება დასრულებულია.

ინსტრუქტორის ბრძანებაზე მსროლელი გადავა სამიზნეებთან, შედეგის დასათვლელად. დანარჩენი მსმენელები აკვირდებიან დავალების შესრულებას.

საბოლოო შეფასება: min: 28 ქულა=70%; max: 40 ქულა = 100%


სამიზნის დაზიანება:

A ბლოკში = 2 ქულა.

B ბლოკში = 1 ქულა.

თავში = 0 ქულა.

სამიზნე სილუეტზე აცილება = 0 ქულა.



მსმენელი ჩათვლაში უარყოფით შეფასებას (0 ქულა) მიიღებს თუ ის:

- განახორციელებს უნებლიე გასროლას;
- იარაღს მიმართავა არაუსაფრთხო მიმართულებით;

- ავლენს საცეცხლე პოზიციაზე მდგომი პირისათვის არაადეკვატურ და შეუსაბამო ქცევას (ძლიერი აღელვება, კანკალი, ბრძანების არასწორი აღქმა დ.ს.)

მსმენელს აქვს ჩათვლის ერთხელ გადაბარების უფლება

ჩათვლას ეთმობა 4 სთ.

დანართი №15

ჩათვლა გულისხმობს მსმენელის მიერ ტაქტიკური ამოცანის შესრულებას, მისი ტაქტიკური უნარების შეფასების მიზნით.

ჩათვლაში მოცემული იქნება ტაქტიკური ამოცანის 3 ვარიანტი. თითოეულ მსმენელს შეხვდება 3-დან მხოლოდ ერთი ვარიანტი.

ტექტიკური ამოცანა N1: კონტაქტი დაფარვა (მეკონტაქტე, დამფარავი) min: 21 ქულა=70%; max: 30 ქულა = 100%

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1.	დისტანცია და ხელების კონტროლი	10
2.	პოზიცია (მზადყოფნა)	1.0
3.	პოზიცია (ინტერვიუება)	1.0
4.	განლაგება	3.0
5.	უსაფრთხოება: (მენცვილის ცეხლის ხაზში მოხვედრა; მენცვილის ცეცხლის ხაზზე გატარება, იარაღიდან უნებლიე გასროლა; არასამართლებრივი გასროლა.)	10
6.	კომუნიკაცია (მენცვილეებს შორის - (ვერბალური)	1.0

7.	კომუნიკაცია (მენეჯერებს შორის - (არავერბალური)	1.0
8.	ბრძანება (სწორი)	1.0
9.	ბრძანება (დამაჯერებელი)	1.0
10.	პერიმეტრის კონტროლი	1.0

ტაქტიკური ამოცანა N2: პირის ა/მ-ში იძულებით დაკავება min: 49 ქულა=70%; max: 70 ქულა = 100%

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1.	ა/მ პოზიცია	1.0
2.	საფარის გამოყენება	21.5
3.	განლაგება	0.5
4.	გადაადგილება	0.5
5.	სექტორების კონტროლი	0.5
6.	დისტანცია და ხელების კონტროლი .	21.5

7.	პოზიცია (მზადყოფნა)	0.5
8.	უსაფრთხოება: (მენყვილის ცეცხლის ხაზში მოხვედრა; მენყვილის ცეცხლის ხაზზე გატარება, იარაღიდან უნებლიე გასროლა; არასამართლებრივი გასროლა.)	21.5
9.	კომუნიკაცია (მენყვილეებს შორის - (ვერბალური)	0.5
10.	კომუნიკაცია (მენყვილეებს შორის - (არავერბალური)	0.5
11.	ბრძანება (სწორი)	0.5
12.	ბრძანება (დამაჯერებელი)	0.5
13.	პერიმეტრის კონტროლი	0.5

ტექტიკური ამოცანა N3: შენობასთან მიახლოება, შესვლა, დათვალიერება min: 49 ქულა=70%; max: 70 ქულა = 100%

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1.	პოზიცია (მზადყოფნა)	0.5
2.	განლაგება	1.0
3.	უსაფრთხოება: (მენყვილის ცეცხლის ხაზში მოხვედრა; მენყვილის ცეცხლის ხაზზე გატარება, იარაღიდან უნებლიე გასროლა; არასამართლებრივი გასროლა.)	21.5
4.	კომუნიკაცია მენყვილებს შორის - (ვერბალური)	0.5
5.	კომუნიკაცია მენყვილებს შორის - (არავერბალური)	0.5
6.	ბრძანება (სწორი)	0.5
7.	ბრძანება (დამატურებელი)	0.5
8.	პერიმეტრის კონტროლი	0.5
9.	დისტანცია (შენობა)	0.5

10.	გადანმენდა: (სექტორების ჯეროვნად დათვალიერება ;სიტუაციის სწორად შეფასება და გადანყვეტილების მიღება)	21.5
11.	მიახლოება	0.5
12.	შესვლა (მოძრაობის დროული დაწყება; სწორი მიმართულებით გადაადგილება და სწორი განლაგება (პოზიციების დაკავება შენობაში)	21.5
13.	დათვალიერება	0.5

მსმენელს აქვს ჩათვლის ერთხელ გადაბარების უფლება

ჩათვლას ეთმობა 6 სთ.

დანართი №16

ხელჩართული ბრძოლის ილეთებში მსმენელის შეფასება

მსმენელს, ხელჩართული ბრძოლის ილეთებში, ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება თუ ის შეძლებს სამივე კომპეტენციის ეფექტურად შესრულებას.

კომპეტენცია N1	თავდასხმის აცილება
კომპეტენცია N2	ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის მცდელობის აღკვეთა (შენარჩუნება)
კომპეტენცია N3	დაკავება

ჩათვლას ეთმობა 4 სთ.

დანართი №17

ჩათვლა ხორციელდება სამ ეტაპისაგან:

1. სანყისი ეტაპი;
2. შუალედური ეტაპი;
3. დასკვნითი ეტაპი.

ჩათვლის სამივე ეტაპზე მსმენელი შეფასდება შედმეგი ფიზიკური ნორმებისა და ქულობრივი სისტემის მიხედვით:

ნორმატივების სახეობა	ქულა			
	1	2	3	4
სირბილი 100 მ.	18 წმ.	17 წმ.	16 წმ.	15 წმ.
სირბილი 500 მ.	2 წთ.	1.55 წთ.	1.50 წთ.	1.45 წთ.
წოლბჯენში აზიდვა (რაოდენობა) (მამრობითი სქესის მსმენელისათვის)	10	15	20	25
მუცლის პრესი (რაოდენობა)	5	10	15	20

პირველ და მეორე ეტაპებში მიღებული შედეგები არის სარეკომენდაციო ხასიათის, ხოლო დასკვნით ეტაპი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მამრობითი სქესის მსმენელი ოთხივე სახეობაში აჩვენებს დადებით შედეგს და ჯამში დააგროვებს არანაკლებ 5 ქულას, ხოლო მდედრობითი სქესის მსმენელი სამივე სახეობაში აჩვენებს დადებით შედეგს და ჯამში დააგროვებს არანაკლებ 4 ქულას. მსმენელს აქვს ჩათვლის მესამე ეტაპის ერთხელ გადაბარების უფლება.

ჩათვლას ეთმობა 6 სთ.

დანართი №18

საგანი N24 - „საცეცხლე მომზადების“ სასწავლო აქტივობების აღწერილობა

N1 - აქტივობა.

ცეცხლსასროლი (HS9, M4, ak74) - იარაღის არასრული დაშლა/აწყობა

HS9 - არასრული დაშლა/აწყობა მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით:

- სახელურის ფუძიდან ვილებით მჭიდს, ვათავსებთ აქტიური ხელის ნეკა თითასა და არათითს შორის.
- საკეტი გადაგვაქვს შემფერხებელზე და ვახდენთ ლულის სავაზნისა და სახელურის ფუძის დათვალიერებას.
- ვდებთ მჭიდს მაგიდაზე.
- ვაბრუნდებით დამშლელ ბერკეტს 90-გრადუსიანი კუთხით (საათის ისრის მიმართულებით).
- ვუშვებთ საკეტს შემფერხებლიდან სანცის პოზიციაში.
- ვახდენთ საკონტროლო დასხლეტვას და პასიური ხელით, წინ მოძრაობით საკეტს ვანცალკევებთ ჩარჩოსგან.

- საკეტიდან ვიღებთ დამაბრუნებელ მექანიზმს, ჩარჩოსგან ვანცალკევებთ (ვიღებთ) ლულას.
- იარაღის აწყობა ხდება უკუთანმიმდევრობით.

M4 არასრული დაშლა/აწყობა მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ვხსნით სავაზნე კოლოფს.
- გადაგვყავს საკეტი უკუ მდგომარეობაში და ვიჭერთ ხელით და ვახდენთ ლულის სავაზნის დათვალიერებას.
- ვუშვებთ საკეტს და ვახდენთ საკონტროლო დასხლეტას უსაფრთხო მიმართულებით.
- ადგილიდან ვძრავთ დამშლელ წკირებს და ვანცალკევებთ ერთმანეთისაგან დამშლელ-ამყნობ მექანიზმს და ლულას საკეტთან ერთად.
- ლულიდან ვიღებთ საკეტის ჩარჩოს საკეტთან და გადამტენთან ერთად.
- იარაღის აწყობა ხდება უკუთანმიმდევრობით.

ak74 არასრული დაშლა/აწყობა მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ვხსნით სავაზნე კოლოფს.

- გადაგვყავს მცველი ღია მდგომარეობაში, გადაგვყავს საკეტი უკუმდგომარეობაში და ვიჭერთ ხელით და ვახდენთ ლულის სავაზნის დათვალიერებას.
- ვუშვებთ საკეტს და ვახდენთ საკონტროლო დასხლეტას უსაფრთხო მიმართულებით.
- კონდახიდან ვიღებთ პენალს.
- ვხსნით ზუმბას.
- ვხსნით ლულის კოლოფის სარქველს.
- ვხსნით დამაბრუნებელ მექანიზმს.
- ვხსნით საკეტის ჩარჩოს სააირო ღვუშით საკეტთან ერთად და ვანცალკევებთ ერთმანეთისაგან.
- ვხსნით სააირო მილაკს ლულის ზედსადებით.
- იარაღის აწყობა ხდება უკუთანმიმდევრობით.

მჭიდის შევსება ვაზნებით - მჭიდს ვათავსებთ მოსახერხებელ ხელში და მეორე ხელის ცერა თითის მეშვეობით, ვაზნაზე ზემოქმედებით ვიწყებთ მჭიდში ვაზნების მოთავსებას. ტყვიის გულაკი მიმართული უნდა იყოს წინა მხარეს.

აქტივობა N2.

საბრძოლო დგომი, იარაღის სწორედ ჭერა და დამუხტვა/განმუხტვა

- **საბრძოლო დგომი:** საბრძოლო დგომი გულისხმობს დგომს ხელში მოთავსებული იარაღით, როდესაც აქტიური ფეხი არის ოდნავ უკან, ფეხები მხრების სიგანეზე განეულია, ტანი მცირედით წინ გადაწეულია, მუხლები ოდნავ მოხრილია. პისტოლეტის შემთხვევაში ხელები გადის მკერდიდან ლულით პირდაპირ.
- **პისტოლეტის სწორად ჭერის მეთოდი:** იარაღს ვიჭერთ აქტიურ ხელში, ხელის გულში ვათავსებთ იარაღის სახელურს ბოლომდე, მარცხენა ხელი ეფარება სახელურს პასიური მხრიდან. მარჯვენა ხელის ცერა თითი იწევა ოდნავ ზევით, რითაც საშუალებას ვაძლევთ პასიურ ხელს მჭიდროდ მოთავსდეს იარაღის სახელურზე პასიური მხრიდან. სახელურზე პასიური ხელის მოთავსების შემდეგ მარცხენა ხელის ოთხი თითი ეკვრის აქტიური ხელის თითებს, ხოლო პასიური ხელის ცერა თითი თავსდება იარაღის კორპუსზე ჩარჩოს ქვევით. აქტიური ხელის ცერა თითი ებჯინება პასიური ხელის ცერა თითს. იარაღის ჩარჩო რჩება თავისუფალ მდგომარეობაში, რითაც ხდება იარაღის შეფერხების პრევენცია.
- **იარაღის დამუხტვა:** აქტიური ხელით ხდება იარაღის შალითიდან მყისიერი ამოღება და ლულის მიმართავა 90 გრადუსით სამიზნის მიმართულებით, ხოლო მეორე ხელით პარალელურ რეჟიმში საკეტზე ზემოქმედებით ვმუხტავთ. ხელის მოძრაობა ხდება მკერდიდან ლულით წინ სამიზნის მიმართულებით.
- **იარაღის განმუხტვა:** ხდება მობრუნება მარჯვნივ 90-გრადუსიანი კუთხით ისე, რომ ლულა დარჩეს მიმართული სამიზნე ფარისკენ, იარაღი არის მკერდთან ახლოს, შემდგომ ვხსნით მჭიდს, რომელიც გადაგვაქვს ნეკას და არათითს შორის (იმ ხელში, რომელშიც გვიჭირავს იარაღი). ვხრით იარაღს მარჯვნივ, პასიური ხელით გადაგვაქვს

საკეტი უკუმდგომარეობაში ისე, რომ ხელი ფარავდეს ჭრილს, ვაფერხებთ შემფერხებელზე. იარაღში ვაზნის არსებობის შემთხვევაში ის უნდა აღმოჩნდეს პასიური ხელის გულში. ამის შემდეგ ვათვალიერებთ ლულის სავაზნეს და სახელურის ფუძეს (ცუდი ხილვადობის პირობებში ხდება პასიური ხელის თითის შეხებით ლულის სავაზნის შემოწმება). მოგვყავს საკეტი საწყის პოზიციაში და ვახდენთ დასხლეტას უსაფრთხო მიმართულებით. იარაღს ვინახავთ ბუდეში, საჭიროებისამებრ ვმუხტავთ მჭიდს ვაზნებით და ვარგებთ იარაღს.

აქტივობა N3.

ზუსტი დამიზნება და დასხლეტა

- **სწორი დამიზნება:** საბრძოლო დგომით და იარაღის სწორად ხელში დაჭერის შემდგომ ხდება სწორი დამიზნება. კერძოდ, იარაღის სამარჯვს ვავსებთ წინა სამიზნით თანაბრად და გასწორებული სამიზნე უყურებს დამიზნების რაიონს ისე, რომ მსროლელი ფოკუსირებული რჩება წინა სამიზნეზე და ბუნდოვნად აღიქვამს როგორც დამიზნების რაიონს, ასევე იარაღის სამარჯვს.
- **სწორი დასხლეტა:** იარაღის სასხლეტს ვადებთ სასროლი თითის ბალიშს, პირველადი დანოლით ვხსნით ე. წ. „ლუფტს“ და ამის შემდგომ თანმიმდევრული დანოლით ვახდენთ დასხლეტას.

დანართი №19

საგანი N25 - „ტექტიკური მომზადების“ სასწავლო აქტივობების აღწერილობა

აქტივობა N1.

„პოლიციელის პირადი უსაფრთხოების პრინციპები“

უსაფრთხოების 7 ძირითადი პრინციპი:

- დაფარვა;

- საფრთხის ნიშნები;
- რეაგირების დრო და მანძილი;
- 1+1 წესი;
- ტაქტიკური ალტერნატივა;
- სიტუაციის განმუხტვა;
- წონასწორობა.

აქტივობა N2.

„კონტაქტი/დატარვა (უსაფრთხო სამკუთხედი)“

- ქვეით ობიექტთან მიახლოება და გასაუბრება, საპოლიციო ღონისძიების საფუძვლით.

შესამონმებელი ობიექტი იმყოფება გარე ან დახურულ სივრცეში, რომელსაც უახლოვდება, როგორც წესი 2 პოლიციელი მზადყოფნის პოზიციაში. მზადყოფნის პოზიცია გულისხმობს აქტიური ხელის იარაღზე დადებას და მზერას ობიექტისკენ, ხოლო სხეულის კორპუსი მიმართულია ობიექტისკენ. პოლიციელები ინაწილებენ როლებს: 1. მექონტაქტე; 2. დამზღვევი. უსაფრთხო დისტანციაზე უახლოვდებიან ობიექტს (3-მაქს 1.5 მ). მექონტაქტე პოლიციელი დგება ობიექტის პირისპირ,

დასაშვებია ოდნავ გადახრა მარჯვენა ან მარცხენა მხარეს, ხოლო დამზღვევი პოლიციელი დგება ობიექტისგან 45-გრადუსიანი კუთხით - უსაფრთხო სამკუთხედის პრინციპი.

სავარჯიშოს შესაძლო გაგრძელება

- ობიექტი ემორჩილება პოლიციელის ბრძანებებს;
- ობიექტი ცდილობს შეამციროს უსაფრთხო დისტანცია და გამოიყენოს ცივი იარაღი. პოლიციელები ინარჩუნებენ უსაფრთხო დისტანციას და ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით ახდენენ ობიექტის დაკავებას;
- ობიექტი ცდილობს გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, პოლიციელები ინარჩუნებენ უსაფრთხო დისტანციას და ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით ახდენენ ობიექტის დაკავებას;
- ობიექტი ცდილობს შეამციროს უსაფრთხო დისტანცია და გამოიყენოს ფიზიკური ძალა, მექონტაქტე პოლიციელები ინარჩუნებენ უსაფრთხო დისტანციას, ხელკეტის გამოყენებით გაფრთხილებას აძლევს მექონტაქტე, ხოლო დამზღვევი პოლიციელი ფიზიკური ილეთის გამოყენებით ახდენს ობიექტის დაკავებას;

აქტივობა N3.

ა/მანქანის მძღოლის დაკავება

- პოლიციელების ა/მანქანა ჩერდება დასაკავებელი ობიექტ(ებ)ის ა/მანქანის უკან 4-7 მეტრის დისტანციაზე ისე, რომ პოლიციის ა/მანქანა ნახევარი კორპუსით იყოს მარცხენა მხარეს. პოლიციელები ინაწილებენ როლებს, მძღოლი

არის მეკონტაქტე, ხოლო მისი მენეჯილე - დამფარავი. პოლიციელები დაკავების ღონისძიების დროს აკონტროლებენ დასაკავებელი პირის ქცევას და თუკი შეამჩნევენ დასაკავებელი პირის საეჭვო მოქმედებას დაუყონებლივ ატყობინებენ ერთმანეთს. მეკონტაქტე დამუხტული იარაღით გადმოდის ა/მანქანიდან, იარაღის ლულა მიმართულია პოტენციური საფრთხისკენ და უკუსვლით გადაადგილდება თავისი ავტომქანის უკან, საბარგულის უკიდურეს მარცხენა მხარეს (დგარისა და მარცხენა მაშუქების გასწვრივ) და გასცემს ბრძანება/მითითებებს. ბრძანებები: „სდექ პოლიცია, გამორთე ძრავი, გასაღები შემოდე სახურავზე, მკვეთრი მოძრაობის გარეშე ხელები გადმოყავი ისე, რომ ვხედავდე“. დამფარავი პოლიციელი გადმოდის ა/მანქანიდან, იარაღის ლულა მიმართულია პოტენციური საფრთხისკენ და უკუსვლით გადაადგილდება თავისი ავტომქანის უკანა, საბარგულის უკიდურეს მარჯვენა მხარეს (დგარისა და მარჯვენა მაშუქების გასწვრივ).

- აღწერილ სცენარს შესაძლოა ქონდეს 3 ვარიანტი:
 - ა) როდესაც დასაკავებელი ობიექტი ემორჩილება პოლიციელის ბრძანება/მითითებას;
 - ბ) როდესაც ნაწილობრივ ემორჩილება. ე. ი. არ გადმოდის ა/მანქანიდან, მაგრამ ვხედავთ მის ხელებს;
 - გ) როდესაც დასაკავებელი პირი არ რეაგირებს ბრძანება-მითითებებს.

- დასაკავებელი ობიექტი, როდესაც ემორჩილება პოლიციელის მითითებებს, მაშინ მეკონტაქტე პოლიციელი რჩება დაკავებულ (საფარში) პოზიციაში და გასცემს შემდეგ ბრძანებებს: „ფრთხილად, გააღე კარი და გადმობი
ა/მანქანიდან ისე, რომ ხელებს ვხედავდე, ხელები აწიე თავს ზემოთ, შემობრუნდი ზურგით ჩემსკენ და იმოძრავე,

როდესაც დასაკავებელი ობიექტი ხელეზანეული უახლოვდება პოლიციელის ავტომანქანის წინა ნაწილს, მეკონტაქტე გასცემს ბრძანებას იმოძრაოს მარჯვნივ და ობიექტს გადააბარებს დამზღვევ პოლიციელს. ამის შემდგომ მეკონტაქტე პოლიციელი გადაადგილდება იარაღმიმართული დასაკავებელი ობიექტის ა/მანქანისკენ დათვალიერების მიზნით (1+1, ივარაუდებ მეტი საფრთხე, ვიდრე ხელავე პრინციპით). ა/მანქანის დათვალიერების შემდგომ მეკონტაქტე აწვდის ინფორმაციას მენყვილეს - სუფთაა, ბრუნდება და იკავებს უსაფრთხოების სამკუთხედის პრინციპით დამზღვევი პოლიციელის პოზიციას და აწვდის ინფორმაციას, რომ კონტროლზეა, რის შემდგომაც მენყვილე იწყებს ობიექტის დაკავებას. ხელბორკილის დადების შემდგომ ხელბორკილის დამდები პოლიციელი ადგილზე უთვალიერებს წელის არეს დაკავებულს, დაკავებული გადაყავთ პოლიციელის მანქანის უკანა მხერს, სადაც ერთი პოლიციელი აკეთებს ჩხრეკას(მიმართულება ზევიდან ქვევით) ხოლო მეორე პოლიციელი აკონტროლებს პერიმეტრს. დაკავებულს ათავსებენ პოლიციის ავტომანქანის უკანა სავარძელზე, მარჯვენა მხარეს, ხოლო ერთი პოლიციელი უჯდება გვერდით დაკავებულს მარცხენა მხარეს.

- ობიექტი, როდესაც ნაწილობრივ ემორჩილება პოლიციელის მითითებებს, მაშინ მეკონტაქტე პოლიციელი რჩება დაკავებულ (საფარში) პოზიციაზე და გასცემს შემდეგ ბრძანებებს: ფრთხილად გააღე კარი და გადმოდი ა/მანქანიდან ისე, რომ ხელებს ვხედავდე. ნაწილობრივ დამორჩილებისას ობიექტი არ გადმოდის ა/მანქანიდან. მეკონტაქტე აგრძელებს ბრძანებების/მითითებების მიცემას. იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება დასაკავებელი ობიექტის ხელების ვიზუალური კონტროლი და პოლიციელები დარწმუნდებიან, რომ დასაკავებელი ობიექტი არ ან ვერ გადმოდის ა/მანქანიდან, პოლიციელები იწყებენ გადაადგილებას ა/მანქანის მიმართულებით, ერთდროულად, ორივე მხრიდან. გადაადგილებისას იარაღი მიმართულია ობიექტისკენ, დამზღვევი პოლიციელი

აკონტროლებს ა/მანქანის მარჯვენა მხარეს, ხოლო მეკონტაქტე მარცხენას. გადაადგილება ხდება საბრძოლო გადაადგილებით, დასაკავებელი ობიექტის ა/მანქანის უკიდურესი მარჯვენა და მარცხენა ნაწილების გასწვრივ. მეკონტაქტე პოლიციელი გასცემს ბრძანებას: დასაკავებელმა ობიექტმა ხელები დააღაგოს საჭესთან. იარაღის კონტროლით, იკავებს პოზიციას ა/მანქანის წინა მარცხენა საბურავთან გვერდით, საქარე მინის წინ და აგრძელებს ბრძანებების გაცემას: არ გაინძრე, მე მიყურე, თორემ გესვრი. მეკონტაქტე პოლიციელი აწვდის ინფორმაციას სიტუაციის კონტროლის შესახებ მენყვილეს, რომელიც გადმოდის დასაკავებელი ობიექტის მხარეს, აღებს კარს და ათვალთვლებს ავტომანქანას იარაღის დემონსტრირებით. შემდგომ ინახავს იარაღს შალითაში, იწყებს ობიექტის დაკავებას ხელბორკილის გამოყენებით და ობიექტის იძულებით გადმოყვანას ა/მანქანიდან. ხელბორკილის დადების შემდგომ, ხელბორკილის დამდები პოლიციელი ადგილზე უთვალთვლებს წელის არეს. დაკავებული გადაჰყავთ პოლიციელის ა/მანქანის უკანა მხარეს, სადაც ერთი პოლიციელი აკეთებს ჩხრეკას (მიმართულება ზევიდან ქვევით), ხოლო მეორე პოლიციელი აკონტროლებს პერიმეტრს. დაკავებულს ათავსებენ პოლიციის ავტომანქანის უკანა სავარძელზე მარჯვენა მხარეს. ერთი პოლიციელი უჯდება გვერდით დაკავებულს მარცხენა მხარეს.

- ობიექტი, როდესაც არ ემორჩილება პოლიციელის მითითებებს, მაშინ მეკონტაქტე პოლიციელი რჩება დაკავებულ (საფარში) პოზიციაზე და გასცემს შემდეგ ბრძანებებს: ფრთხილად გააღე კარი და გადმოდი ა/მანქანიდან ისე, რომ ხელებს ვხედავდე. დაუმორჩილების შემთხვევაში ობიექტი არ რეაგირებს ბრძანებებზე. მეკონტაქტე ამძაფრებს ბრძანებებს და მკაცრად აფრთხილებს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში იარაღის გამოყენების შესახებ (თორემ გესვრი), რითაც ახდენს ობიექტის ყურადღების გადატანას მასზე. მას მერე, რაც პოლიციელები დარწმუნდებიან,

რომ ობიექტი არ რეაგირებს ბრძანებებზე, დამზღვევი პოლიციელი იწყებს მოქმედებას. დამზღვევი პოლიციელი გადაადგილდება საბრძოლო გადაადგილებით, დასაკავებელი ობიექტის ა/მანქანის უკიდურესი მარჯვენა ნაწილის გასწვრივ, იყენებს საფარად ა/მანქანის უკანა მარჯვენა დგარს, იღებს კონტროლს ობიექტზე და გასცემს ბრძანებებს - ხელები საჭეზე, თორემ გესვრი. ამის შემდგომ დარწმუნდება რა, რომ პიროვნება კონტროლზე ჰყავს, აწვდის მეკონტაქტე მენყვილეს ინფორმაციას, რომ აკონტროლებს, მენყვილე კი იწყებს გადაადგილებას ა/მანქანის უკიდურესი მარცხენა მხარეს, საბრძოლო გადაადგილებით, იარაღის კონტროლით იკავებს პოზიციას ა/მანქანის წინა მარცხენა საბურავთან გვერდით, საქარე მინის წინ და აგრძელებს ბრძანებების გაცემას: არ გაინძრე, მე მიყურე, თორემ გესვრი. მეკონტაქტე პოლიციელი აწვდის ინფორმაციას სიტუაციის კონტროლის შესახებ მენყვილეს, რომელიც გადმოდის დასაკავებელი ობიექტის მხარეს, აღებს კარს და ათვალიერებს ა/მანქანას იარაღის დემონსტრირებით, შემდგომ იარაღს ინახავს შალითაში და იწყებს ობიექტის დაკავებას ხელბორკილის გამოყენებით. ხელბორკილის დადების შემდგომ ხელბორკილის დამდები პოლიციელი ადგილზე უთვალიერებს წელის არეს, დაკავებული გადაჰყავთ პოლიციელის მანქანის უკანა მხარეს, სადაც ერთი პოლიციელი აკეთებს ჩხრეკას (მიმართულება ზევიდან ქვევით), ხოლო მეორე პოლიციელი აკონტროლებს პერიმეტრს. დაკავებულს ათავსებენ პოლიციის ავტომანქანის უკანა სავარძელზე, მარჯვენა მხარეს. დაკვებულს ერთი პოლიციელი უჯდება გვერდით მარცხენა მხარეს.

აქტივობა N4.

ა/მანქანის გაჩერება, უსაფრთხო მიახლოება და საპოლიციო/პრევენციული ღონისძიების განხორციელება

- სამი პოლიციელის მიერ ა/მანქანასთან უსაფრთხო მიახლოებას, პოზიციების დაკავებას და ა/მანქანის მგზავრებისა და ა/მანქანის დათვალიერებას. 1. მიახლოება ხდება ა/მანქანის უკანა მარჯვენა და მარცხენა მხრიდან. 2 პოლიციელი უახლოვდება მძღოლის მხრიდან, ხოლო მესამე პოლიციელი მათი საპირისპირო მხრიდან. როლები ნაწილდება შემდეგნაირად: მეკონტაქტე და დამფარავი პოლიციელი მიდიან მძღოლის მხრიდან, ხოლო მესამე, ასევე დამფარავი (მეორე დამფარავი), პოლიციელი, უახლოვდება მათ საპირისპირო მხრიდან. მეკონტაქტე პოლიციელი იკავებს პოზიციას მძღოლის მხარეს კარის დგართან, მის მხარეს მყოფი დამფარავი პოლიციელი იკავებს პოზიციას ა/მანქანის წინა მარცხენა საბურავთან გვერდით, საქარე მინის წინ და აკონტროლებს მძღოლს, ასევე მის გვერდით მჯდომ მგზავრს, ხოლო მესამე პოლიციელი, მეორე დამფარავი, იკავებს პოზიციას მათ საპირისპირო მხარეს ა/მანქანის უკანა სადგართან და აკონტროლებს მის მხარეს, უკანა სავარძლებზე მსხდომ მგზავრებს. მეკონტაქტე პოლიციელი მძღოლს განუმარტავს საპოლიციო ღონისძიების საფუძველს. საპოლიციო ღონისძიება, როგორც წესი ტარდება განსაზღვრული თანმიმდევრობით: ვინცებთ მძღოლით, შემდგომ მგზავრები და ბოლოს ა/მანქანა, მაგრამ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე თანმიმდევრობა იცვლება.

აქტივობა N5.


შენობასთან მიახლოება, შესვლა, დათვალიერების პრინციპები და პირის დაკავება.

- 4 პოლიციელი შენობის სიახლოვეს, უსაფრთხო დისტანციაზე იკავებს ჯგუფურ საბრძოლო გადაადგილების პოზიციას. პირველ პოლიციელს დამუხტული იარაღი მიმართული აქვს პოტენციური საფრთხის მიმართულებით


(შენობის შესასვლელი, თანჯრები და ა. შ), მეორე პოლიციელი დგება პირველი პოლიციელის ზურგს უკან, მარცხენა ან მარჯვენა მხარეს, ნახევარი კორპუსით გადმონეულ მდგომარეობაში და დამუხტული იარაღი პირველი პოლიციელის მსგავსად მიმართული აქვს პოტენციური საფრთხეების მიმართულებით. შესაძლებელია მოხდეს პოტენციური საფრთხეების კონტროლის გადანაწილება პირველ და მეორე პოლიციელს შორის. მესამე პოლიციელი დგება მეორე პოლიციელის უკან და პირველი პოლიციელის ზურგის გასწვრივ და იარაღის ლულა მიმართულია ან მკერდიდან ქვევით, ან აქტიური ხელით მხრის გასწვრივ ზევით. მეოთხე პოლიციელი კი დგება მესამე პოლიციელის ზურგს უკან და იარაღის ლულით აკონტროლებს უკანა სივრცეს. ამ პოზიციის დაკავების შემდგომ იწყება შენობის მიმართულებით გადაადგილება, რა დროსაც პოლიციელთა ჯგუფი ინარჩუნებს ერთმანეთთან ფიზიკურ კონტაქტს. უახლოვდებიან შენობის შესასვლელს ერთი მიმართულებით, სადაც ჯგუფი იყოფა 2 ნაწილად და ახდენენ დახურულ კართან გადასვლას და შესვლის მომზადებას. პოზიციების დაკავებას აქვს ორი ვარიანტი: 1. კარის ორივე მხარეს განლაგებულია ორი პოლიციელი; 2. კარის ერთ მხარეს განლაგებულია 4 პოლიციელი.

- შენობაში შესვლა მოიცავს სამ ძირითად ვარიანტს: ჯვარედინი შესვლა, კუჭისებრი შესვლა და კომბინირებული შესვლა.


ჯვარედინი შესვლა



კომბინირებული შესვლა



კაუჭა მეთოდი



დანართი №20

საგანი N26 - „ხელჩართული ბრძოლის ილეთების“ სასწავლო აქტივობების აღწერილობა

აქტივობა N1.

ინტერვიუს დგომიდან თავდაცვის დგომზე გადასვლა

- ინტერვიუს დგომი გულისხმობს დგომს, როდესაც აქტიური ფეხი არის ოდნავ უკან და განზე განეული, ხოლო ხელები არის მკერდთან, აქტიური ხელის მტევანზე პასიური ხელის გულია დადებული (დგომს გააჩნია თავისი ტაქტიკური დანიშნულება).
- თავდაცვის დგომი გულისხმობს დგომს, როდესაც აქტიური ფეხი არის უკან და განზე განეული, ტანი 15 გრადუსით შეტრიალებული, მუხლები ოდნავ მოხრილი, აქტიური ხელის მუშტი არის სახესთან ახლოს, ხოლო პასიური ხელი სახის გასწვრივ, წინ განეული.

აქტივობა N2.

თავდაცვის დგომით გადაადგილება

- თავდაცვის დგომით გადაადგილება გულისხმობს მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან გადაადგილებას. გადაადგილების დროს პირველი მოძრაობას იწყებს ის ფეხი, რომელიც კონკრეტული მიმართულებისკენ იმყოფება.

აქტივობა N3.

თავდასხმის აცილება

- თავდაცვის დგომიდან ხდება თავდასხმის მოგერიება მარცხნივ ან მარჯვნივ ორივე ხელის ბიძგის მეშვეობით.

აქტივობა N4.

ტაქტიკური დაცემა

- გულისხმობს უსაფრთხო დაცემას, რისთვისაც საჭიროა ხელების განზე გაშლა ხელისგულებით უკან, ჩაჯდომას (საჯდომი ასწრებს სხეულის ყველა სხვა ნაწილს იატაკზე შეხებას) და უკან გადაწოლას რა დროსაც ინერციის შეკავება ხდება ხელების იატაკზე ფიქსაციის გზით.

აქტივობა N5.

ტაქტიკური ადგომა

- აღნიშნული გულისხმობს მწოლიარე მდგომარეობიდან ტანის წამოწევას აქტიურ ხელზე დაყრდნობის მეშვეობით, რა დროსაც პასიური ხელი იმყოფება წინ განუღო თავდაცვის მდგომარეობაში, იმავდროულად ხდება აქტიური ფეხის პასიური ფეხის უკან მოთავსება, შემდგომ აქტიური ფეხის მუხლზე დგომა და წამოდგომა, რა დროსაც ხელები გადადის თავდაცვის მდგომარეობაში.

აქტივობა N6.

თავდაცვა დაცემული პოზიციიდან

- როდესაც თავდამსხმელი მჭიდრო კონტაქტში არ იმყოფება, თავდაცვა ხდება ფეხების გამოყენებით (ველოსიპედზე ფეხების მოძრაობის მსგავსად).
- როდესაც თავდამსხმელი იმყოფება ნაქცეული პოლიციელის ზემოდან (ვარიანტი 1):
 - პირველ რიგში ხდება თავდამსხმელის წონასწორობის დაკარგვა საჯდომზე მუხლების წამოკვრის საშუალებით, მიზანია თავდამსხმელი ხელებით დაეყრდნოს იატაკს.
 - პოლიციელმა თავდამსხმელის მენტებზე ხელის დაყრდობით უნდა განახორციელოს თავდამსხმელის მაქსიმალურად ქვემოთ ჩანევა.
- პოლიციელი ახდენს თავდამსხმელის მარჯვენა (აქტიური) ხელის მაჯაში მარჯვენა ხელის ჩავლებას და მარცხენა ხელის თავდამსხმელის ხელზე შემოჭდობას და თავის მარჯვენა ხელზე ჩავლებას, რის შემდეგ ახორციელებს თავდამსხმელის იატაკის მხარეს ნაქცევას და ზემოდან მოქცევას.
- როდესაც თავდამსხმელი იმყოფება ნაქცეული პოლიციელის ზემოდან (ვარიანტი 2):
 - პირველ რიგში ხდება თავდამსხმელის წონასწორობის დაკარგვა საჯდომზე მუხლების წამოკვრის საშუალებით, მიზანია თავდამსხმელი ხელებით დაეყრდნოს იატაკს.

- პოლიციელმა თავდამსხმელის მენტებზე ხელის დაყრდობით უნდა განახორციელოს თავდამსხმელის მაქსიმალურად ქვემოთ ჩანევა და მოხრა, პარალელურად ბლოკავს მარცხენა ფეხით თავდამსხმელის მარჯვენა ფეხის მოძრაობას.
- პოლიციელი ორივე ფეხზე დაყრდნობით ახორციელებს წელის ამოწევას რა დროსაც თავდამსხმელი ვარდება მარცხენა მხარეს ზურგზე და პოლიციელი ექცევა ზემოდან.

აქტივობა N7.

თავდამსხმელისგან დაღწევა ხელით ჩაჭიდების დროს

- ხელზე ჩაჭიდებისას დაღწევა - ხორციელდება თავდამსხმელის მიერ ჩაჭიდებული ხელის ცერის მიმართულებით მაჯის ტრიალით ან/და იმავე მოქმედებით მეორე ხელის დახმარებით, რა დროსაც მეორე ხელით ხდება დარტყმა თავდამსხმელის ხელის მაჯის შიდა მხარეში.
- დაღწევა ტანსაცმელზე ჩაჭიდებისას - თავდამსხმელს პოლიციელი შეპყრობილი ჰყავს ორივე ხელის ჩაჭიდებით მხრების არეში ტანსაცმელზე ჩავლებით. პოლიციელი ორივე ხელს წევს თავს ზემოთ, იდაყვებს შორის მანძილს ამცირებს მინიმუმამდე, იდაყვებს ზემოდან ქვემოთ ურტყამს ორივე მაჯის სახსარზე. აქტიური მხრით იხევს უკან, ზრდის დისტანციას შემდგომი რეაგირებისთვის.

აქტივობა N8.

ხელით თავდასხმის დროს თავის დაცვა და მოგერიება (დინსტანციის მოპოვება)

- ხელით თავდასხმის დროს - ხორციელდება სახის დაცვა ორივე ხელით შემდეგნაირად: აქტიურ ხელისგულს ვაფიქსირებთ საფეთქელთან შესაბამის მხარეს, პასიურ ხელს ვკიდებთ აქტიური ხელის მტევანს, იდაყვი განუვლი მხრის გასწვრივ. ნიკაპს ვაფიქსირებთ მკერდზე და წინ მდგომი ფეხის გადადგმით იდაყვით , ბიძგით ვიგერიებთ თავდამსხმელს.

აქტივობა N9.

ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის მცდელობის აღკვეთა (შენარჩუნება)

- თავდამსხმელის მიერ წართმევის მიზნით ზურგის მხრიდან იარაღზე ხელის წავლების დროს - პოლიციელი აქტიური ხელით იჭერს თავმდასხმელის ხელის მტევანს, პასიურ ხელს ვკიდებთ აქტიურ ხელის მტევანს და ზემოდან ქვემოთ ორივე ხელის მკვეთარი მოძრაობით ახდენს თავდამსხმელის ხელების იარაღიდან მოცილებას და დისტანციაზე გასვლას.
- თავდამსხმელის მიერ წართმევის მიზნით ზურგის მხრიდან იარაღზე ხელის წავლების დროს - პოლიციელი აქტიური ხელით იჭერს თავმდასხმელის ხელის მტევანს, პასიურ ხელს ვკიდებთ აქტიურ ხელის მტევანს და ზემოდან ქვემოთ ორივე ხელის მკვეთარი მოძრაობით ახდენს თავდამსხმელის ხელების იარაღიდან მოცილებას, აქტიური მხარის ფეხს დგამს თავდამსხმელის ფეხის უკან (ახლოს), აქტიური ხელის მკერდზე ბიძგით და ფეხის მოჩეხვით ახორციელებს გდებას.

აქტივობა N10.

დაკავება

➤ დაკავება მახრჩობელას გამოყენებით

- უსაფრთხოების სამკუთხედის პოზიციიდან, ორი პოლიციელი უახლოვდება დასაკავებელ პირს. ერთი პოლიციელი ამყარებს კომუნიკაციას, მეორე უახლოვდება უკნიდან. პოლიციელი აქტიური ხელით, ცხვირზე ქვევიდან ზევით მიჭერით აწვევინებს სამართალდამრღვევს თავს უკან, აქტიური ხელის იდაყვს ათავსებს ყელზე, პასიურ ხელს აერთებს აქტიურ ხელთან, თავზე თავის მიბჯენით აფიქსირებს სამართალდამრღვევს. წინ მდგომი ფეხით იწყებს მოძრაობას და ღვამს თავისივე უკან მდგომი ფეხის გასწვრივ, შემდეგ მკერდის დაწოლით ახდენს დასაკავებელი პირის დაბლა დანჯენას (პირქვე მდგომარეობაში) და ადებს ხელბორკილს.
- უსაფრთხოების სამკუთხედის პოზიციიდან, ორი პოლიციელი უახლოვდება დასაკავებელ პირს. ერთი პოლიციელი მარჯვენა ხელით იჭერს დასაკავებელი პირის მარცხენა ხელს. მარცხენა ხელის დახმარებით აკეთებს ხელის გამოკვრას დაკავებულ ხელზე, რისი დახმარებითაც ატრიალებს დასაკავებელ პირს მისკენ ზურგით, ორივე ხელს ავლებს სახეზე, აქტიური ფეხის მუხლის სახსარზე ბიძვით გამოჰყავს დასაკავებელი პირი წონასწორობიდან, ორივე ხელის დახმარებით ახდენს დასაკავებელი პირის დაბლა დანჯენას (პირქვე მდგომარეობაში) და ადებს ხელბორკილს.
- უსაფრთხოების სამკუთხედის პოზიციიდან, ორი პოლიციელი უახლოვდება დასაკავებელ პირს. დამკავებელი პოლიციელი მარჯვენა ხელით იჭერს დასაკავებელი პირის მარცხენა ხელს. მარცხენა ხელის დახმარებით აკეთებს ხელის გამოკვრას დაკავებულ ხელზე, რისი დახმარებითაც ატრიალებს დასაკავებელ პირს მისკენ ზურგით. მარჯვენა ხელით ახდენს კისრის დაჭერას („მახრჩობელა“ ილეთი), ხოლო მარცხენა ხელით ვაკავებთ

მონინალმდეგის მკლავს. დაკეტილი ხელის მხრიდან ვანვენტ პირქვე მდგომარეობაში ხელის ფეხებს შორის მოთავსებით. ხელბორკილს ვადებთ ჯერ თავისუფალ ხელზე, შემდგომ მეორე ხელზე.

➤ დაკავება „გდებით“ (უკანა სარმა)

- საბრძოლო დგომი, მარცხენა ხელით ილლიის ქვემოთ ამოკეტვით ვაკავებთ მონინალმდეგის ხელს. მარცხენა ფეხით ვინწყებთ მოძრაობას მონინალმდეგის მარჯვენა ფეხამდე, ძლიერი ბიძგით გამართული მარჯვენა ხელით და მარჯვენა ფეხის ამოკვრით მის მარჯვენა ფეხზე ვასრულებთ გდებას და ვაბრუნებთ ზურგიდან მკერდზე. მოხრილი ორივე ფეხით ვანვებით და ხელს ფეხებშუა ჩავკეტავთ, ვადებთ ხელბორკილს ჯერ მარცხენა ხელზე შემდეგ ჩაკეტილ ხელზე. ვხსნით ფეხებს. თავის მხრიდან მარჯვენა ხელით ვახდენთ ჩავლებას მის მარცხენა ხელზე, წამოვსვავთ მარცხენა ხელის მხარზე ჩავლებით, ტრიალში წამოვაცენებთ ფეხზე და ვახდენთ ბადრაგირებას.
- უსაფრთხოების სამკუთხედის პოზიციიდან, ორი პოლიციელი უახლოვდება დასაკავებელ პირს. ერთი მათგანი გადის კომუნიკაციაზე, მეორე პოლიციელი უახლოვდება უკანა მხრიდან, ან გვერდიდან. ორივე ხელს მოჰკიდებს ორივე ფეხზე, ეჯახება მხრებით და აქცევს დასაკავებელ პირს. ნაქცევის დროს ფეხებს არ უშვებს ხელებს, მეორე პოლიციელი უჭერს ხელს მტკივნეული ილეთით, იმორჩილებს და ადებს ხელბორკილს.

აქტივობა N11.

ხელკეტის გამოყენება

- მზადყოფნის დგომიდან საბრძოლო დგომზე გადასვლა და გაშლა-დაკეცვა;

- ხელკეტის მოქნევის ტექნიკა (თეორია და პრაქტიკა) - გულისხმობს 45-გრადუსიანი კუთხით;
- ხელკეტის დარტყმის ტექნიკა - ხელკეტის მოქნევა მოძრაობით მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან და ადგილზე;
- ხელკეტის დარტყმის სავარჯიშო რბილი ფარის გამოყენებით წყვილი დარტყმებით (ხელკეტის მოქნევა ხდება 2-ჯერ აქტიური მხრიდან პასიური მხარის მიმართულებით და საწინააღმდეგოდ);

აქტივობა N12.

ხელბორკილის დადება

- ხელბორკილის სწორად ჭერა - გულისხმობს აქტიურ ხელში ხელბორკილის დაკავებას ისე, რომ ხელბორკილის ჩამკეტი მიმართული იყოს პოლიციელისკენ ქვედა მხარეს;
- ხელბორკილის დადება - ბრძანებების გაცემა ხელბორკილის დადება და ორმაგი ჩაკეტვა;

შეტანილი ცვლილებები: